

ზოგადი განათლების რეფორმები საქართველოში და „ერთიანი სკოლის“ მოდელი

თბილისი | 2023

**ზოგადი განათლების რეფორმები
საქართველოში და
„ერთიანი სკოლის“ მოდელი**

ზოგადი განათლების რეფორმები საქართველოში და „ერთიანი სკოლის“ მოდელი

მომზადებულია კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის(CTC) სკოლა ლაბის პროექტის მიერ, „სკოლების გაძლიერების ინიციატივა“ ფარგლებში გერმანული ფონდის „Bread for the world“ (BfdW) დაფინანსებით. დოკუმენტის შინაარსი შესაძლოა არ გამოხატავდეს დამფინანსებლის შეხედულებებს.

კვლევის ავტორი: ლელა ჩახაია

კვლევის ასისტენტი: ნინო ალელიშვილი

კვლევა „ზოგადი განათლების რეფორმები საქართველოში და „ერთიანი სკოლის“ მოდელი“ მიზნად ისახავდა, 2022 წლის მდგომარეობით საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმების შესწავლასა და მათი განხორციელების თანამიმდევრულობის შეფასებას.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ზოგადი განათლების რეფორმის ოთხი ძირითადი მიმართულება: ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა; მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემის ცვლილება; სკოლების ხარისხის გარე შეფასების სისტემის დანერგვა; ეროვნული შეფასების წარმოება. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა მიზნობრივი რეკომენდაციები რეფორმების ფარგლებში საერთო ხედვის შემუშავების, სტრატეგიებისა და ინტერვენციების სინქრონიზაციის მხარდასაჭერად. რეკომენდაციების შემუშავების პროცესი წარმართა თანაშექმნის პრინციპით და მასში მონაწილეობა მიიღეს განათლების მკვლევარებმა, სპეციალისტებმა და ადმინისტრატორებმა(დანართი 1).

დოკუმენტი დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების მრავალფეროვნების აღქმაში, პროცესების ჰარმონიზებასა და სისტემაში ჩართულ და მასზე პასუხისმგებელ უწყებათა საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესებაში.

სარჩევი

შესავალი	6
კვლევის მეთოდოლოგია	7
1-ლი თავი: ერთიანი სკოლის მიდგომა და მისი აქტუალობა საქართველოსთვის	8
ერთიანი სკოლის მიდგომა	9
საქართველოს ზოგადი განათლება და „ერთიანი სკოლის მიდგომა“	10
მე-2 თავი: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მიმოხილვა	11
ზოგადი განათლების რეფორმაში ჩართული მხარეები	12
განათლებისა და მეცნიერების ახალი სტრატეგია	15
მე-3 თავი: ოთხი სარეფორმო ინიციატივის დეტალური მიმოხილვა	17
ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა	18
ეროვნული სასწავლო გეგმის მოკლე ისტორია	18
მესამე თაობის ესგ-ის ძირითადი პრინციპები	18
მესამე თაობის ესგ-ის დანერგვა	19
მესამე თაობის ესგ-ის ძლიერი მხარეები	20
მესამე თაობის ესგ-ს გამოწვევები	21
მესამე თაობის ესგ-ის დანერგვის თანხვედრა სხვა რეფორმებთან	24
ზოგადი განათლების რეფორმა - სკოლების ხარისხის გარე შეფასების სისტემის დანერგვა	27
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოკლე ისტორია	27
ავტორიზაციის ახალი სტანდარტი	28
სკოლების დიაგნოსტიკური შეფასება	29
ავტორიზაციის პროცესი	29
ავტორიზაცია და სკოლების ავტონომია	30
ავტორიზაციის რისკები	32
უწყებათაშორისი კოორდინაცია ავტორიზაციის პროცესში	33
მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემის ცვლილება	34
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მოკლე ისტორია	34
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა ამჟამად	35
მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემის გამოწვევები	36
მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემის კოორდინაცია რეფორმის სხვა მიმართულებებთან	38
ეროვნული შეფასების წარმოება	40
პროექტი „შეფასება განვითარებისათვის“ და მისი მიზნები	40
პროექტის განხორციელების პროცესი და ეტაპები	41
შეფასების რისკები	41
დიაგნოსტიკური შეფასების კოორდინაცია სხვა სარეფორმო მიმართულებებთან	42
საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების საქმიანობა	44
მე-4 თავი: ერთიანი განათლების მიდგომა და ზოგადი განათლების რეფორმები საქართველოში	46
დასკვნები და რეკომენდაციები	52

შესავალი

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა მუდმივი რეფორმირების პროცესშია. უკანასკნელ წლებში არაერთხელ შეიცვალა ზოგადი განათლების პრინციპები, მართვის და დაფინანსების მექანიზმები, სასწავლო მიდგომები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული განვითარების სისტემები, შეფასების მექანიზმები, ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების სქემები. განათლების ყველა დონე თავისებურად კომპლექსური და მრავალმხრივია. თუმცა, ზოგადი განათლება, ამ მხრივ, მაინც გამოირჩევა, რადგან მასთან ქვეყნის მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს რაღაც კუთხით აქვს შეხება. ზოგადი განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები ამიტომაც ძალიან ხშირად არის საჯარო განხილვის საგანი. ზოგადი განათლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას განაპირობებს მისი მასშტაბი და მოცულობა, როგორც ადამიანური (ელექტორალური), ასევე ფინანსური თვალსაზრისით. ეს კი პოლიტიკური და საარჩევნო პროცესების მიმართ სისტემის სენსიტიურობას განაპირობებს. ამიტომ, სარეფორმო დღის წესრიგის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა აქვს პოლიტიკურ პროცესებს პოლიტიკური მიზნებისთვის კი ხშირად ადგილი აქვს ინსტიტუტებისა და პროფესიონალების გამოყენებას.

ერთი მხრივ, ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებზე და მიღებულ გადაწყვეტილებებზე დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური პროცესები. მეორე მხრივ კი, ზოგადი განათლების ინსტიტუტებისა და დარგში მომუშავე პროფესიონალების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას ხშირად ცდილობენ. ამასთან ერთად, ზოგად განათლებაზე იხარჯება მთლიანად განათლებაზე გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარზე მეტი. ეს ყველაფერი განაპირობებს ზოგადი განათლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ზოგადი განათლების პოლიტიკას, შესაძლოა, სხვადასხვა კონკრეტული მიზნები ჰქონდეს სხვადასხვა ეტაპზე. თუმცა, ზოგადად, საერთო მიზანს წარმოადგენს ყველა მოქალაქისათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ხელმისაწვდომი ხარისხიანი განათლება ბევრი სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდამოკიდებული კომპონენტებისგან შედგება და ამ კომპონენტების გასაუმჯობესებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისევე როგორც მოსახლეობის კერძო შემოსავლებიდან, ძალიან დიდი თანხა იხარჯება და სხვადასხვა უწყებების და პროფესიონალების დიდი შრომაა ჩადებული. ამ ძალისხმევის ეფექტურობა და ეფექტიანობა სისტემატურად არ არის შეფასებული, რაც თავისთავად პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებებში ქართველი მოსწავლეების არც თუ სახარბიელო საგანმანათლებლო მიღწევების მაჩვენებელი საგრძნობლად არ უმჯობესდება. ასევე საგრძნობლად არ მცირდება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებები.

ზოგადი განათლების მართვასა და განვითარებაზე ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე ძალიან ბევრი სხვადასხვა უწყება მუშაობს. ზოგადი განათლების სისტემის კომპლექსურობა და მასში მიმდინარე სარეფორმო პროცესების მრავალფეროვნება მოითხოვს ამ პროცესების ჰარმონიზებას და სისტემაში ჩართულ და მასზე პასუხისმგებელ უწყებათა საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობას.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, ამჟამად საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმების შესწავლას იმის დასადგენად, თუ რამდენად არის ეს რეფორმები ერთიანი სტრატეგიული მიზნის ქვეშ გაერთიანებული, რამდენად თანხვედრაშია მათი დაგეგმვა და განხორციელება და რამდენად ჰარმონიულია მათი სტრატეგიები და განხორციელების გზები.

პირველ თავში მიმოხილულია „ერთიანი სკოლის“ პრინციპები, კონკრეტული მიდგომები და მათი გამოყენების გზები საქართველოს ზოგად განათლებაში მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად. მეორე თავში აღწერილია საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის უწყებები და მათი ურთიერთმიმართება. მესამე თავი აღწერს ოთხ კონკრეტულ სარეფორმო მიმართულებას, რაზეც ამ ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება: მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სკოლების ავტორიზაცია და მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასება. ამ თავში გაანალიზებულია ამ რეფორმების მიმდინარეობა, მათი წარმატებები, გამოწვევები და ურთიერთკავშირი ერთმანეთთან. მეოთხე, დასკვნით თავში კი გაანალიზებულია გადაწყვეტილებების მიღების და უწყებათაშორისი კოორდინაციის მოდელები ამ რეფორმების მაგალითზე.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოვიყენეთ თვისებრივი მეთოდები: ჩაღრმავებული ინტერვიუები ზოგადი განათლების სფეროში გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან, განათლების ექსპერტებთან, სკოლების დირექტორებთან¹, სულ 12 ინტერვიუ; ოთხი ფოკუსური ჯგუფი საჯარო სკოლების მასწავლებლებთან². კვლევის პროცესში შევისწავლეთ არსებული დოკუმენტები: საკანონმდებლო ბაზა, სტრატეგიული დოკუმენტები, არსებული კვლევები და ანგარიშები, მედია მასალა.

კვლევის შეზღუდვები. კვლევაში არ გამოვიყენებთ რაოდენობრივი მეთოდები. შესაბამისად, აქ წარმოჩენილი მოსაზრებები არ არის წარმომადგენლობითი. კვლევის ფარგლებში, საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების, უწყებათაშორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის საკითხებს. რეფორმების შინაარსობრივი შეფასება არ არის ამ ნაშრომის მთავარი მიზანი და შესაბამისად, ნაკლები ყურადღება ეთმობა.

კვლევა, რეფორმების მიმდინარეობის აღწერისას, ეყრდნობა როგორც არსებულ დოკუმენტებს, ასევე ამ რეფორმების გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ ინტერვიუებში გამოთქმულ მოსაზრებებს, რაც, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა სუბიექტურ შეხედულებებს წარმოადგენდეს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებლებთან ჩატარებულ ფოკუსურ ჯგუფებში, როგორც წესი, მონაწილეობენ უფრო აქტიური, სხვადასხვა სარეფორმო პროცესებში ჩართული მასწავლებლები. შესაბამისად, მათი მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს იმავე სკოლებში სხვა მასწავლებელთა გამოცდილებებს.

¹ ინტერვიუების სრული სია იხილეთ დანართში

² ფოკუსური ჯგუფების სია და გზამკვლევი იხილეთ დანართში

I ტავი:

**ერთიანი სკოლის
მიდგომა და მისი
აქტუალობა
საქართველოსთვის**

ერთიანი სკოლის მიდგომა

განათლების რეფორმის გატარება მარტივი არ არის - ხშირად, დრო და რესურსები, რომელიც განათლების სისტემის სხვადასხვა ასპექტის გაუმჯობესებაში იდება, ფუჭად იხარჯება და მოსალოდნელი შედეგები არ მოაქვს³. საერთაშორისო კვლევები, რომელთა ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნებში მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების დინამიკის ასახვა, გვაჩვენებს, რომ, ხშირად, ეს მიღწევები არ უმჯობესდება და ზოგჯერ უარესდება კიდევაც, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სარეფორმო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს, ანუ რეფორმის გატარება თავისთავად არ არის წარმატების საწინდარი. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია რეფორმების მიმდინარეობის, შედეგების, ხარჯთაღიწურის შეფასება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

ზოგადი განათლების კომპლექსური ხასიათი, რომელზეც შესავალშია საუბარი, რასაკვირველია, მხოლოდ საქართველოს ზოგადი განათლებისათვის არ არის დამახასიათებელი. ის პრობლემები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში სკოლების წინაშე დგას, როგორც წესი, ბევრ სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ასე მაგალითად, თუ ადრეულ ეტაპზე სკოლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელი არის ის პრობლემა, რომლის აღმოფხვრასაც სკოლა ცდილობს, საკმარისი არ არის მხოლოდ და მხოლოდ ამ კონკრეტულ პრობლემაზე ფოკუსირება, მიზეზების დადგენა და მერე ამ მიზეზებზე მუშაობა იზოლირებულად. საჭიროა, რომ სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა სფეროში მიმდინარე რეფორმები და ცვლილებები ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული და ჰარმონიზებული. სხვადასხვა ქვეყანაში, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ანალიზისას, ბევრია ისეთი რეფორმა, როცა სხვადასხვა მიმართულებები არ არის კოორდინაციაში⁴, ან სულაც მიმდინარე რეფორმების მიზნები და პროცესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება⁵.

„ერთიანი სკოლის“ მიდგომა განათლების რეფორმათა საერთო ჩარჩოს წარმოადგენს, რომელიც ითვალისწინებს სკოლის/სისტემის მასშტაბით ხარისხისა და სტანდარტების გაუმჯობესებას. ამ მიდგომის ეფექტურობისათვის საჭიროა სკოლის დონეზე საგანმანათლებლო პროცესში ჩართული სხვადასხვა მხარეების თანამშრომლობა და კონკრეტული მიზნის მისაღწევად ყველა კომპონენტის ერთიანი რეფორმირება.

„ერთიანი სკოლის“ მიდგომა მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების გასაუმჯობესებლად აშშ-ის რამდენიმე საგანმანათლებლო ინიციატივასა და რეფორმაში გამოიყენეს. 1990-იანი წლების ბოლოს მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, უარი ეთქვათ ფრაგმენტულ ჩარევებზე განათლებაში და საგანმანათლებლო შედეგების გასაუმჯობესებლად გამოეყენებინათ კომპლექსური მიდგომა⁶. ეს მიდგომა რეფორმებს ინტეგრირებულად განიხილავდა და ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ სკოლის მოსწავლეთა დონის წარმატებით გასაუმჯობესებლად საჭიროა სასკოლო გარემოს ყველა ელემენტის ცვლილება იმგვარად, რომ ყველა ელემენტი დაექვემდებაროს ერთიან, ცენტრალურ ხედვას⁷.

„ერთიანი სკოლის“ მიდგომის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენდა „სკოლის კომპლექსური რეფორმა“ (Comprehensive School Reform), რომლის ფარგლებშიც ფედერალური სახსრები გამოიყოფოდა სკოლების სარეფორმო პროგრამების განსახორციელებლად. ამ სარეფორმო პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო სისტემის ყველა

³ McLure&Albridge, 2021
<https://www.tandfonline.com/doi/epdf/10.1080/13632434.2022.2113050?needAccess=true&role=button>
⁴ Baglibel, Samancioglu, and Crow2018
⁵ Bishop et al., 2012
⁶ Breneds et al., 2001
⁷ Keltner, 1998

კომპონენტი (სასწავლო გეგმა, სწავლება, შეფასება, პროფესიული განვითარება, ფინანსური რესურსები, მართვა და სასკოლო თემის ჩართულობა) ჰარმონიაში უნდა ყოფილიყო მთავარ მიზანთან - მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების გაუმჯობესებასთან⁸.

საქართველოს ზოგადი განათლება და „ერთიანი სკოლის მიდგომა“

ერთიანი სკოლის მიდგომა, როგორც თეორიული ჩარჩო, შეგვიძლია გამოვიყენოთ ზოგად განათლებაში მიმდინარე პროცესების სისტემურ დონეზე გასაანალიზებლად.

საქართველოს ზოგადი განათლების პრობლემები, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებისა, შეგვიძლია გავაერთიანოთ ორ ძირითად კატეგორიად: ხარისხისა და ხელმისაწვდომობის პრობლემები. სხვა კომპონენტები, როგორც არის მართვა, დაფინანსება, მონიტორინგი და ა. შ., საბოლოო ჯამში, ამ ორი ძირითადი კომპონენტის გაუმჯობესების ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ზოგადი განათლების ხარისხის მიმართულებით არსებული პრობლემები. მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა მოწმობს იმას, რომ ზოგადი განათლების ხარისხი საქართველოში, კონკრეტულად კი, მოსწავლეთა საგანმანათლებლო შედეგები, არ არის სახარბიელო და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მცირე პროგრესის მიუხედავად, საგრძნობი გაუმჯობესება შედეგებში არ შეინიშნება იმ წლების განმავლობაში, რაც საქართველო ამ შეფასებებში მონაწილეობს.

მეორე მხრივ, ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის თითქმის ყველა სფეროში მუდმივად მიმდინარეობს რეფორმის პროცესი. რეფორმებზე ძალიან დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსი, დრო და ძალისხმევა იხარჯება. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, არ არის შეფასებული ამ რეფორმების შედეგები. ბევრმა რეფორმამ კი, სავარაუდოდ, ვერ მიაღწია დასახულ მიზნებს. ფაქტია, რომ მიმდინარე რეფორმები, როგორც წესი, არ ითვალისწინებს ცვლილებების განხორციელების ოთხსაფეხურიან ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, გაუმჯობესება⁹.

ზოგადი განათლების ხარისხს, სკოლის გარეთ არსებული არაერთი ფაქტორის ჩათვლით, ბევრი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს (მაგალითად, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გამოცდილებები ადრეულ ასაკში და ა.შ.). თუმცა იმ კომპონენტთაგან, რომლებიც უშუალოდ საგანმანათლებლო სისტემაში გვხვდება, შეგვიძლია გამოვიყოთ:

- ▶ სასწავლო გარემო - ინფრასტრუქტურა და სასწავლო მასალები;
- ▶ პედაგოგიური პერსონალი - კვალიფიკაცია, მეთოდები, პროფესიული განვითარება;
- ▶ სასწავლო გეგმები - მიზნები, მიდგომები, სტანდარტები;
- ▶ მოსწავლეთა შეფასება - შეფასების ტიპები, შეფასების გამოყენება პრაქტიკაში¹⁰.

„ერთიანი სკოლის“ მიდგომის თანახმად, განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ამ კონკრეტული მიმართულებებით მიმდინარე რეფორმები ერთმანეთთან კოორდინირებული უნდა იყოს.

⁸ Juvonen et al. (2004) https://www.jstor.org/stable/10.7249/mg139edu.18?seq=4#metadata_info_tab_contents

⁹ PDCA: Plan-Do-Check-Act

¹⁰ სკოლის და ზოგადად საგანმანათლებლო სისტემის მართვასა და დაფინანსებას, რასაკვირველია, განათლების ხარისხზე ძალიან დიდი გავლენა აქვს, თუმცა საბოლოო ჯამში მართვა და დაფინანსება მაინც ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებს ემსახურება.

II ტავი:

**საქართველოს
ზოგადსაგანმანათლებლო
სისტემის მიმოხილვა**

ზოგადი განათლების მართვა და დაფინანსება საქართველოში ცენტრალიზებულად ხდება. წლების განმავლობაში განათლების პოლიტიკის დღის წესრიგის პრიორიტეტი დეცენტრალიზაცია არ ყოფილა და, შესაბამისად, მიმდინარე სარეფორმო ღონისძიებების პარალელურად არ გადადგმულა სტრატეგიული ნაბიჯები სისტემის დეცენტრალიზაციისა და სკოლების ავტონომიის გაზრდისათვის¹¹. ცხადია, ეროვნული უწყებები ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარე ყველა ცვლილებისა და რეფორმის პროცესში გადანყვეტილების მიმღებ უმთავრეს (და, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთ) მხარეს წარმოადგენენ. დიფერენცირებული მიდგომების არარსებობის პირობებში სკოლებს, ხშირ შემთხვევაში, არა აქვთ შესაძლებლობა, თავის საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკა გაატარონ. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, არც თუ ისე იშვიათად, სკოლების მიმართ სადამსჯელო მიდგომების გამოყენების გამოცდილების გათვალისწინებით, სკოლები დამოუკიდებლად გადანყვეტილებების მიღებისგან იმ შემთხვევებშიც ხშირად იკავებენ თავს, როცა მათ ეს უფლება აქვთ. მუნიციპალიტეტების და ადგილობრივი თვითმმართველობების როლი ზოგადი განათლების მართვასა და დაფინანსებაში ამჟამად მინიმალურია.

ზოგადი განათლების რეფორმაში ჩართული მხარეები

ეროვნულ დონეზე ზოგადი განათლების რეფორმებზე პასუხისმგებელი უწყებები

ზოგად განათლებაში მიმდინარე რეფორმები საქართველოში მრავალი სხვადასხვა უწყების მიერ იგეგმება და ხორციელდება. ქვეყნის მასშტაბით ზოგადი განათლების პოლიტიკის დამგეგმავი და გამტარებელი მთავარი ორგანო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა. სამინისტროს სტრუქტურის ფარგლებში ზოგად განათლებაზე პასუხისმგებელი მთავარი დანაყოფია მინისტრის პირველი მოადგილის დაქვემდებარებაში მყოფი სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტი.

სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ) განსაკუთრებულ როლს თამაშობენ საგანმანათლებლო რეფორმების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ზოგადი განათლების მიმართულებით რეფორმების როგორც შინაარსობრივ დაგეგმვაზე, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი სსიპებია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

სწორედ ეს უწყებები არიან ეროვნულ დონეზე პასუხისმგებელი ამ ნაშრომში განხილული რეფორმების დაგეგმვასა და განხორციელებაზე. საქართველოს მასშტაბით სკოლებთან ურთიერთობის ფასილიტაციისათვის და ცვლილებების უშუალოდ განსახორციელებლად ამ უწყებებს ჰყავთ სპეციალისტები: ქოუჩები, ტრენერები, ექსპერტები. ხშირ შემთხვევაში, ეს სპეციალისტები ერთი და იგივე ადამიანები არიან, რომლებიც ამავედროულად მასწავლებლობასაც ითავსებენ. კვლევის მიმდინარეობისას გამოკითხული ბევრი ექსპერტი აღნიშნავს, პრობლემაა ისეთი კვალიფიცირებული კადრების დეფიციტი, რომლებიც ცენტრალურ დონეზე დაგეგმილი რეფორმების მიტანას შეძლებენ თითოეულ სკოლამდე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა გარკვეული სიახლეები მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთდროულად

¹¹ განათლების კოალიცია (2021)

ინერგება. თუმცა, ექსპერტთა თქმით, ეს უფრო სიმპტომური პრობლემაა. რეალურ პრობლემას კი ის ფაქტი წარმოადგენს, რომ სკოლებს არა აქვთ შესაძლებლობა, თვითონ მიიღონ გადაწყვეტილებები, დაგეგმონ და განახორციელონ ცვლილებები; სარეფორმო ინიციატივები ძირითადად ცენტრალური უწყებებიდან იგეგმება და ხორციელდება ნაკლები ჩართულობის პირობებში და შესაბამისად, პრობლემურია მათი დანერგვა სპეციალისტების დეფიციტის, მასშტაბურობის, მიმღებლობის დაბალი დონის და სხვა მრავალი ფაქტორის გამო.

საგანმანათლებლო რესურსცენტრები

საქართველოში 2302 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა. განათლების მართვის ცენტრალიზებული ხასიათი განაპირობებს სკოლასა და ცენტრალურ ეროვნულ უწყებებს შორის შუალედური რგოლის არსებობის აუცილებლობას. ამ როლს ამჟამად სამინისტროს ტერიტორიული ერთეულები - საგანმანათლებლო რესურსცენტრები ასრულებენ.

რესურსცენტრები საქართველოში 2005 წელს შეიქმნა და მას შემდეგ ხედვა მათი ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ მრავალჯერ შეიცვალა. რესურსცენტრების როლი უნდა ყოფილიყო სკოლების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა, ინფორმაციით უზრუნველყოფა, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ საქმიანობაში დახმარება¹². თუმცა მალევე, განათლების სისტემის ცენტრალიზაციის კვალდაკვალ, სკოლის მხარდამჭერის კომპლექსური ფუნქციის ნაცვლად, რესურს-ცენტრების მთავარ საქმიანობად ინფორმაციის გამტარობა იქცა¹³.

იმდენად, რამდენადაც რესურსცენტრები წარმოადგენენ სკოლებსა და ეროვნულ უწყებებს (სამინისტრო და მისი სსიპ-ები) შორის მთავარ დამაკავშირებელ რგოლს. შესაბამისად, მათ ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაციის გატარება უწევთ ორივე მიმართულებით. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ყველა რესპონდენტი ფიქრობს, რომ რესურსცენტრები და მათი თანამშრომლები ამჟამად ძალიან დატვირთულები არიან ასეთი ტიპის საქმიანობით. რესურსცენტრებს არა აქვთ არც დროითი და არც ადამიანური რესურსი სკოლების განვითარებისათვის უფრო მნიშვნელოვანი აქტივობების განსახორციელებლად, როგორც არის: სკოლების მონიტორინგი და მხარდაჭერა, მასწავლებლების პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლის პროცესში აქტიური მონაწილეობა, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში უფრო აქტიურად ჩართვა, შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, მშობელთა ინფორმირება, კონსულტირება და მხარდაჭერა, სკოლების კონსულტირება იურიდიულ და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით, ინკლუზიური განათლების და სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის მონიტორინგი.

ყველა რეფორმის და აქტივობის ადმინისტრაციული მხარის განსახორციელებლად საჭიროა რესურსცენტრების ჩართულობა. რეფორმების შინაარსობრივი მხარის განხორციელებაზე კი პასუხისმგებელი არიან სხვადასხვა პროგრამების ექსპერტები, ტრენერები, ქოუჩები. ხშირ შემთხვევაში, ამ ფუნქციებს ერთი და იგივე ადამიანები ასრულებენ და, ამასთან ერთად, ისინი სკოლის მასწავლებლებიც არიან.


¹² იქვე

¹³ ჭანტურია, ქადაგიძე, მელიქაძე (2021)

სკოლები

რეფორმების საბოლოო ადრესატი და განმახორციელებელი არის სკოლა. სწორედ განათლების სისტემის ეს სტრუქტურა განაპირობებს ცენტრალურ დონეზე დაგეგმილი და განხორციელებული რეფორმების კოორდინირების აუცილებლობას. თუ ცენტრალურ დონეზე რეფორმების დაგეგმვის პროცესი არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში, ეს პრობლემებს ქმნის სკოლებისთვის, დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის. გარდა ამისა, სკოლები ნაკლებად მონაწილეობენ რეფორმების დაგეგმვაში და მხოლოდ ზემოდან წამოსული ინიციატივების მიმღების ფუნქციას ასრულებენ.

წინამდებარე კვლევაში მიმოხილული ოთხი სარეფორმო მიმართულება ზემოთ დასახელებულ სამინისტროში შემავალი და მასზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ ხორციელდება. ქვემოთ მოცემული დიაგრამა გამარტივებული სახით წარმოადგენს, თუ როგორ მიდის ცენტრალურ დონეზე ეროვნული უწყებების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობები სკოლებამდე.



საერთაშორისო დონორები

განათლების რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, გარდა სახელმწიფო უწყებებისა, აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები. ამჟამად განათლების სხვადასხვა კომპონენტების რეფორმის მხარდასაჭერად მსოფლიო ბანკის ორი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ორი და აზიის განვითარების ბანკის ერთი პროექტი მიმდინარეობს. ამ პროექტების შინაარსი და მათი განხორციელების გზები შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მის შესაბამის დეპარტამენტებთან და დაქვემდებარებულ უწყებებთან, და უმეტეს შემთხვევაში სამინისტროს უშუალო ჩართულობით მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, ერთი მხრივ, ხშირია გადაფარვები და კოორდინაციის ნაკლებობა ამ ორგანიზაციების მხარდაჭერილ პროექტებს შორის; მეორე მხრივ კი სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ განხორციელებულ რეფორმებთან.

განათლებისა და მეცნიერების ახალი სტრატეგია

გასული წლების განმავლობაში განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში ეროვნულ დონეზე მწყობრი გრძელვადიანი სტრატეგია ხშირად არ იყო განსაზღვრული. ზოგ შემთხვევაში სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტები ფორმალურად წარმოადგენდა და რეალურად არ იყო გამოყენებული, როგორც რეფორმების საფუძველი. ასე მაგალითად, „ახალი სკოლის მოდელი“ და მესამე თაობის სასწავლო გეგმის შექმნა და დანერგვა, რომელიც ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე დიდ სარეფორმო მიმართულებად ითვლება, დაწყებამდე არც ერთ სტრატეგიულ დოკუმენტში არ იყო განვიწყილი.

განათლებისა და მეცნიერების ახალი, 2022-2030 წლის სტრატეგია სამინისტროს ხელმძღვანელობით, უწყებათაშორისი საბჭოს მონაწილეობითა და განათლების ექსპერტთა ჩართულობით შემუშავდა 2021 წელს და მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა.

განათლებისა და მეცნიერების ახალი სტრატეგია მკაფიოდ მიუთითებს, რომ ადრინდელ, 2017-2021 წლების სტრატეგიაში „სტრატეგიული მიზნები და ამოცანები არ იყო მკაფიოდ ფორმულირებული და გამყარებული შესაბამისი ინდიკატორებით. არაზუსტი ან არაგაზომვადი ინდიკატორები არ იძლეოდა საშუალებას, მიზნებთან მიმართებით შეფასებულიყო განხორციელებული საქმიანობა, დადგენილიყო წარმატების ზუსტი კოეფიციენტი, რაც გავლენის ხარისხს დაადგენდა.“ შესაბამისად, ახალ სტრატეგიას აქვს ამბიციი, რომ სტრატეგიული მიზნები გამყარებულია შესაბამისი ინდიკატორებით და რომ შესაძლებელი იქნება მიზნებთან მიმართებაში სტრატეგიაში აღწერილი საქმიანობის შეფასება.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სტრატეგია შემუშავდა სისტემური მიდგომით, და რომ იგი მიზნად ისახავს უწყებათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობას და გაუმჯობესებას. გარდა ამისა, ახალი სტრატეგია გულისხმობს „განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის სინქრონიზებას ეროვნული პოლიტიკის შესაბამის დოკუმენტებთან, რომლებიც ფოკუსირებულია ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მიგრაციაზე, გარემოს დაცვაზე, სოფლის განვითარებაზე, სამოქალაქო ინტეგრაციასა და ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გარემოს განვითარებაზე“.

კვლევაში განხილული ოთხი რეფორმა განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიაში

ზოგადი განათლების ორწლიან სამოქმედო გეგმაში, რომელიც სტრატეგიას თან ახლავს, დიდი ყურადღება ეთმობა **მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას** და ითვალისწინებს: მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის განახლებას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა საბაზისო პროგრამების განახლებას და შეფასებას, პედაგოგთა ინდუქციური პროგრამის შემუშავებას და დამტკიცებას, მასწავლებელთა მოზიდვისა და დასაქმებისთვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას, მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნებისა და კარიერული წინსვლის სისტემის განახლებასა და დამტკიცებას. სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში განერილია თითოეული ამ აქტივობის შესრულების სავარაუდო თარიღები და ინდიკატორები (ინდიკატორები ძირითადად იმეორებს აქტივობების აღწერას), თუმცა არ არის მოცემული ახალი სტანდარტის, საუნივერსიტეტო პროგრამების, მასწავლებელთა პროფესიაში მოზიდვის პოლიტიკის, კარიერული წინსვლის დეტალები.

სამოქმედო გეგმაში, ასევე, ერთ-ერთ აქტივობად არის ჩამოთვლილი **მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა** და მასწავლებლებისთვის ახალი მეთოდოლოგიის, მასალებისა და სასწავლო პროგრამების შემუშავება. ამ შემთხვევაშიც, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში არ არის მოცემული დეტალები.

სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს ავტორიზაციის სტანდარტების შემუშავებას და **სკოლების ავტორიზაციის სისტემის დანერგვას**. ავტორიზაციის არსი და კონკრეტული გეგმები ახსნილია სტრატეგიაშიც.

რაც შეეხება **მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ შეფასებას**, ეს საკითხი არ არის შესული სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიაშიც არააფერია მასზე ნათქვამი.

III თავი:

**ოთხი სარეფორმო
ინიციატივის
დეტალური მიმოხილვა**

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა

ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების საფეხურზე არსებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია; ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, ესაა დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისთვის სასწავლო მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს (უნარ-ჩვევებს, ცოდნასა და ღირებულებებს), სწავლების შინაარსს, საგნების საათობრივ განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებს, სასწავლო პროცესის კონცეპტუალურ პრინციპებსა და ადმინისტრაციულ საკითხებს. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ზოგადი განათლების ცენტრალური საკითხია და კავშირშია ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ყველა მიმართულებასთან.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოკლე ისტორია

ეროვნული სასწავლო გეგმა იქმნებოდა და ვითარდებოდა საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ. ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალური გზამკვლევის თანახმად, საქართველოში პირველი სასწავლო გეგმის პილოტირება 2005 წელს მოხდა, 2006 წლიდან კი დაიწყო მისი დანერგვა ზოგადი განათლების სისტემაში. პირველი თაობის სასწავლო გეგმა 2006-2010 წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა. 2010 წელს განხორციელდა ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია. რევიზიის შედეგად მეორე თაობის სასწავლო გეგმა შემუშავდა. მისი დანერგვის ვადად 2011-2016 წლები განისაზღვრა. ამჟამად კი იწერება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის დანერგვის ვადაც 2018-2024 წლებითაა განსაზღვრული.

მესამე თაობის ესგ-ის ძირითადი პრინციპები

მესამე თაობის სასწავლო გეგმა დაეფუძნა მეორე თაობის სასწავლო გეგმის რევიზიისას გამოვლენილ გამოწვევებს, რომელთა გაანალიზების შედეგად, მესამე თაობის სასწავლო გეგმაში შევიდა 6 ტიპის ფუნდამენტური ცვლილება:

სწავლა სწავლების ხუთი პრინციპი

მესამე თაობის სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა სწავლება ხელს უნდა უწყობდეს: 1. მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას; 2. ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; 3. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას; 4. სწავლის სტრატეგიების დაუფლებას; 5. სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარაციულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საფეხურებრივი სტანდარტები და წლიური პროგრამები

თითოეული საგნის სასწავლო გეგმა გაიყო ორ ნაწილად. პირველი ნაწილია საფეხურებრივი სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს სავალდებულო მოთხოვნებს: რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რა უნდა შეეძლოს და რა ღირებულებები უნდა ჩამოუყალიბდეს მას საფეხურის ბოლოს. მეორე ნაწილია წლიური პროგრამა. იგი სარეკომენდაციო ხასიათისაა და აჩვენებს სტანდარტის მოთხოვნების რეალიზების ერთ-ერთ შესაძლო გზას თითოეული სასწავლო წლისათვის.

საფეხურის შედეგები; სტანდარტში გრძელვადიანი მიზნების გამოკვეთა

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში წლიური შედეგებისა და ინდიკატორების ნაცვლად საფეხურის შედეგები იქნა შემოტანილი. თითოეული საგნისთვის განისაზღვრა 5-14 გრძელვადიანი მისაღწევი მიზანი (developmental objectives), რომელიც ყველა სასწავლო თემაში უნდა დამუშავდეს. სემესტრის, წლის განმავლობაში იცვლება სასწავლო თემები (შინაარსობრივი კონტექსტები), თუმცა, გრძელვადიანი მიზნები უცვლელი რჩება.

ახალი სტრუქტურული ერთეულები „ცნების“ და „მკვიდრი წარმოდგენები“

ცნება წარმოადგენს, ერთი მხრივ, აზროვნების ინსტრუმენტს, მეორე მხრივ, უნიკალურ პედაგოგიკურ ინსტრუმენტს, რომელიც აადვილებს თემის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესის მიზანმიმართულად მართვას პირობისეული, არსობრივი ცოდნისაკენ. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მკვიდრი წარმოდგენების (enduring understandings) ჩამოყალიბებას, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სამიზნე ცნებების არსობრივ მახასიათებლებს.

ახალი სტრუქტურული ერთეული „თემა“

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სავალდებულო თემები, რომელთა მიხედვით სტანდარტის შედეგები უნდა დამუშავდეს. საგნების მიხედვით წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობა 3-დან 5-მდე მერყეობს.

საკვანძო შეკითხვები

წლიურ პროგრამაში თითოეულ სავალდებულო თემასთან კავშირში მოცემულია შეკითხვები, რომლებიც აძლიერებენ მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და ეხმარებიან მას სასწავლო მასალის ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებაში.

სასწავლო გეგმების სამმართველოს ხელმძღვანელის, მარიამ ჩიქობავას თქმით, მესამე თაობის ესგ-ის მთავარი მახასიათებელი და ამავე დროს მისი მთავარი განმასხვავებელი წინა თაობის სასწავლო გეგმებისგან არის ის, რომ იგი ეყრდნობა კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. მისი თქმით, სწორედ ამ პრინციპების დაცვა არის ძირითადი მოთხოვნა ყველა სკოლის მიმართ და ამ მიდგომას არა აქვს ალტერნატივა.

განათლების ექსპერტი, ნათია ანდლულაძე ფიქრობს, რომ სასწავლო გეგმების განვითარების თვალსაზრისით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩა დასავლეთის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს, სადაც სასწავლო გეგმების პარადიგმების ცვლილებაზე მუშაობა 90-იან წლებში მიმდინარეობდა. ჩვენთან კი 2005 წელს დაიწყო ცვლილებები, მაგრამ სულ სხვა აქცენტებით, რაც არ შეესაბამებოდა ახალ კონსტრუქტივისტულ მიდგომებს.

მესამე თაობის ესგ-ის დანერგვა

მესამე თაობის ესგ-ზე მუშაობა სასწავლო გეგმების სამმართველოში ექსპერტთა მცირე ჯგუფმა დაიწყო, რომლებიც თავის დროზე პირველი თაობის ესგ-ის შექმნაში და დანერგვაში მონაწილეობდნენ და რომელთაც გადაიაზრეს ესგ-ში ადრე არსებული მიდგომები. თავდაპირველად ახალი ესგ დაწყებითი საფეხურისთვის შეიქმნა. მარიამ ჩიქობავას თქმით, სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან, გეგმის დანერგვის პროცესში იყო გარკვეული წინააღმდეგობა. შესაბამისად, ამ ზეწოლის გათვალისწინებით, დაწყებითი საფეხურის ახალი ესგ გარკვეულწილად კომპრომისული ვარიანტი იყო.

ექსპერტთა შეფასებით, ახალი სკოლის მოდელის დანერგვის შესახებ დადებითი გადწყვეტილების მიღების მთავარი ფაქტორი იყო ესგ-ის სამმართველოს თანამშრომელთა მცირე ჯგუფის იდეებისა და სამინისტროს ხელმძღვანელობის ცვლილების თანხვედრა. კერძოდ,

2018 წელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დაინიშნა მიხეილ ბატიაშვილი, რომელსაც სურდა რეფორმის გატარება და ამ ჯგუფმა მას ახალი სკოლის იდეა შესთავაზა. ამავე ჯგუფმა დაგეგმა და განახორციელა ეს ინიციატივა.

ახალი სასწავლო გეგმის პილოტირება განხორციელდა თბილისის 150-ე სკოლაში. პილოტირების პროცესში ინტენსიურად მონაწილეობდნენ სასწავლო გეგმების სამმართველოს თანამშრომლები და ექსპერტები.

თავდაპირველად „ახალი სკოლის მოდელი“, რომლის ფარგლებშიც დაიწყო ახალი სასწავლო გეგმის დანერგვა, უფრო კომპლექსურ მიდგომას ითვალისწინებდა და მიზნად ისახავდა მთლიანად სკოლის კულტურის შეცვლას და სწავლების მიდგომებთან ერთად მართვის გაუმჯობესებას. ამ მხრივ, ეს მოდელი გარკვეულწილად ჰგავდა „ერთიანი სკოლის“ მიდგომას. თანდათანობით ეს კომპონენტები - სკოლის კულტურის შეცვლა და მართვის გაუმჯობესება - უფრო შესუსტდა და ფოკუსი მთლიანად გადავიდა ახალი ესგ-ის დანერგვაზე. შესაბამისად, სახელწოდება - „ახალი სკოლის მოდელი“ - უკვე აღარ არის აქტუალური. რთულია გადაჭრით თქმა, რატომ მოხდა ასე, მაგრამ სავარაუდოდ რეფორმის ფოკუსის დავიწროება მოხდა რეფორმის ავტორთა ჯგუფის ინტერესების შესაბამისად.

ამის შემდგომ დაიწყო ესგ-ის დანერგვა. 2018-19 სასწავლო წლებში პროცესში ჩართული იყო 65 სკოლა; მეორე ეტაპზე, 2019-20 სასწავლო წლებში -100 სკოლა, მესამე ეტაპზე, 2020-21 სასწავლო წლებში - 150 სკოლა და 2021-22 სასწავლო წლებში დანერგვაში მონაწილეობდა 282 სკოლა; 2022-23 სასწავლო წლიდან კი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ყველა საჯარო სკოლაში იწერება.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდასაჭერად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემდეგი რესურსები შემუშავდა: საგნობრივი გზამკვლევები, სახელმძღვანელოზე დაფუძნებული ვიდეო გზამკვლევები, გადაცემა „ტელემეგზური“, ელექტრონული ჟურნალი, ციფრული დამხმარე რესურსები. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ასევე ჩართულია 24 მხარდამჭერი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან: ყველა საგნის ექსპერტი, დაწყებითი განათლების ექსპერტი, ტექნოლოგიების ექსპერტი, ინკლუზიური განათლების ექსპერტი, ლიდერობის ექსპერტი და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორები. დანერგვის საფეხურზე ჯგუფები მჭიდროდ თანამშრომლობენ სკოლებთან ყველა არსებული საკითხის, გამოწვევის მიმართულებით.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის წარმატებით დანერგვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში თავს იყრის და ანალიზდება გარე (მათ, შორის საერთაშორისო) და შიდა კვლევების ანგარიშები; უშუალოდ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის თითოეულ ეტაპს თან ახლავს მონიტორინგის ანგარიშები; 2020 წელს მომზადდა ანგარიში, რომელიც თავის თავში აერთიანებს გეგმის დანერგვის ექსპერტების ყოველთვიურ ანგარიშებს, მონიტორინგის შედეგებს და პროექტის ფარგლებში მასწავლებლების მიერ შექმნილ ნამუშევრებს.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის გასაუმჯობესებლად უახლოეს მომავალში იგეგმება ელექტრონული პორტალის შემუშავება, რომელიც პედაგოგებისთვის გაადვილებს კომპლექსური დავალებების შემუშავების/მოძიების პროცესს.

მესამე თაობის ესგ-ის ძლიერი მხარეები

მესამე თაობის სასწავლო გეგმის ძლიერ მხარეებზე საუბრისას, პროცესის მონაწილე პირების და ექსპერტების მხრიდან ძირითადად ოთხი საკითხი გამოიყოფა: 1. ზოგი ექსპერტი, ისევე, როგორც ბევრი მასწავლებელი, თვლის, რომ პრინციპები და იდეა, რომლებიც საფუძვლად უდევს ახალ სასწავლო გეგმას, მიზანშეწონილი და გამართულია. დადებითად ფასდება ის, რომ სასწავლო გეგმა კონსტრუქტივიზმის პრინციპებს ეფუძნება. 2. მასწავლებლები ამბო-

ბენ, რომ მოსწავლეზე ორიენტირება ამ მოდელში ბევრად უფრო მკაფიოდ არის გამოხატული, ვიდრე მის წინამორბედებში და იძლევა მოსწავლეების მიმართ ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას. 3. ასევე აღნიშნავენ, რომ წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები ძალიან ნათლად არის განსაზღვრული და „გრძელვადიან მიზანს უფრო ხედავს პედაგოგი“. 4. ფოკუსურ ჯგუფებში ასევე გამოვლინდა, რომ მასწავლებლები აფასებენ ამ მიდგომის პრაქტიკასთან კავშირს, რომ პროექტებზე დაფუძნებული სწავლება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, „არ იყოს მიბმული წიგნზე“.

განსაკუთრებით პოზიტიურად აფასებენ მესამე თაობის სასწავლო გეგმას 150-ე სკოლის პედაგოგები, რაც არ არის გასაკვირი, რადგან გეგმის პილოტირება თავდაპირველად ამ სკოლაში განხორციელდა.

“ მოგვწონს კომპლექსური დავალებები, კონსტრუქცივიზმის პრინციპები, მასწავლებლის, ჰოგოხც ფასილიტატორის როლი ამ პროცესში; ეს მოდელი იძლევა ბავშვებში ანალიტიკური აზროვნების განვითარების და ინდივიდუალური მიდგომის საშუალებას; ყველა საგანი ჰეაღუხ ცხოვრებას მეტად უკავშირდება; ეს მოდელი ბავშვებს წახდგენის, პეზენტაციის უნახს უვითახებს; მასწავლებელი ალახაა მიბმული წიგნზე და ეს კომფოხტულია

ფოკუსური ჯგუფი 150-ე საჯარო სკოლაში

მესამე თაობის ესგ-ს გამოწვევები

ახალი სკოლის მოდელის, შემდგომ კი მესამე თაობის ესგ-ის, მიმართ ექსპერტთა მხრიდან თავიდანვე არსებობდა კრიტიკული დამოკიდებულება. გეგმის გამოწვევებზე ასევე საუბრობენ სასწავლო გეგმების სამმართველოს ხელმძღვანელი მარიამ ჩიქობავა და ექსპერტი ფსიქოლოგი ია აფთარაშვილი.

2020 წელს მომზადებულ ანგარიშში დანერგვის პროცესში შემდეგი ძირითადი გამოწვევები გამოიკვეთა: სწავლა-სწავლების პროცესის ავტენტურ დავალებებზე დაფუძნება, თითოეული მოსწავლის დროული და ხარისხიანი განმავითარებელი შეფასების კომენტარებით უზრუნველყოფა, კურიკულუმის განვითარება, რომელიც მთელი სასწავლო წლის (და არა მხოლოდ წლის ერთი კონკრეტული მონაკვეთის) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებას უზრუნველყოფს, სკოლის საჭიროებებისა და შესაძლებლობების კვლევა. თუმცა ექსპერტთა და მასწავლებელთა მხრიდან გაცილებით უფრო ფუნდამენტურ და მრავალფეროვან პრობლემებზე საუბარი.

მესამე თაობის ესგ-სა და ახალი სკოლის მოდელის მიმართ არსებული კრიტიკა შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

„ახალი სკოლის“ მოდელის პილოტირება. ბევრი ექსპერტის შეფასებით, დანერგვის პროცესში, ერთ სკოლაში პილოტირება გაუმართლებელი მიდგომა იყო. ამ მიდგომის მიმართ გამოთქმული კრიტიკა სამ ძირითად ნაწილად შეიძლება დაიყოს: მხოლოდ ერთ სკოლაში პილოტირება შეუძლებელია ვალიდური იყოს, რადგან ეს სკოლა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვა სკოლებისგან; პილოტირების პროცესში ამ ერთ სკოლაში კონცენტრირებული ფინანსური და ადამიანური რესურსის უფრო დიდი მასშტაბით რეპლიკაცია შეუძლებელია; პილოტირების შედეგად არ მომხდარა შედეგების მწყობრი შეფასება.

“ ამ მოდელის შეფასება 6 თვეში მოხდა ერთი სკოლის ბაზაზე და იდეალური შედეგების პეზენტაცია გაგვიკეთეს; ხოგოხ უნდა ვიჩქმუნო 6 თვეში მიღებული შედეგები, ან კითხვა მაქვს - სად იყო მსოფლიო, თუ ასეთი მოდელი ახსებობდა, ხომელიც სუდ ზალაც 6 თვეში ასეთ შედეგს ეებს; ერთი სკოლის აქტივობაზე დაყდნობით შედეგების განზოგადება აზაზეადუხია საერთოდ, თან იქ ერთ მასწავლებლებზე ოთხი ქოური იყო მიმაგებული და ასეთ შედეგებს ხოგოხ ვაზოგადებთ სხვა სკოლებზე?

ინტერვიუ სკოლის დირექტორთან

ადამიანური რესურსების ნაკლებობა. ახალი სკოლის მოდელის გაფართოება მოხდა ძალიან სწრაფად, განსაკუთრებით მიმდინარე სასწავლო წელს. რადგან მოდელი ითვალისწინებს ინტენსიურ თანამშრომლობას ქოურთა ჯგუფთან, შესაბამისად, გაჩნდა ადამიანური რესურსების პრობლემა. მასწავლებელთა განცხადებით, თუ დასაწყისში ერთ სკოლაზე 4 ქოური იყო მიმაგრებული, შემდგომში 10 სკოლაზე იყო 4 ქოური და ხშირად ონლაინ ვებინარები ტარდებოდა პირისპირ შეხვედრების ნაცვლად. მასწავლებლები ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ არ არის შესაძლებლობა, ყველა სკოლაში საგნობრივი ექსპერტები ჩაერთონ გეგმის დანერგვაში.

“ თუმცა უმზავდესობას აზ ჰყავს ეს ექსპეჩტები, მხოლოდ მატიჩიკას გვაწვდიდნენ და ონლაინ შეხვედრები იყო, ზაც ამ მოდელის დანეჩგვისთვის ნამდვიდად აზაა საკმაჩისი

ფოკუს-ჯგუფი სკოლაში

“ ახლა სკოლების მზაჩდაჭეა მხოლოდ იმაში გამოიზაგება, ზომ ფბ ჯგუფში თვეში ეთხედ გააზიაჩებს კოოჩინაგოჩი ზალაც ზესუხსს, - ზასაც ისედაც ვნაზავდით ჩვენ; სხვა აზანაჩი მზაჩდაჭეა აზ გვაქვს

ფოკუს-ჯგუფი სკოლაში

იმ სკოლებში, სადაც დანერგვა წინა წლებში მიმდინარეობდა, ანუ როგორც მათ უწოდებდნენ „ჩართულ სკოლებში“, უფრო რეგულარული კომუნიკაცია არსებობს ქოურებთან. ხოლო იმ სკოლების წარმომადგენლები, რომელთა სკოლები დანერგვის პროცესში არ მონაწილეობენ, აცხადებენ, რომ დახმარება მხოლოდ ონლაინ ჯგუფებში ინფორმაციის განთავსებით შემოიფარგლება.

სასწავლო გეგმების სამმართველოს წარმომადგენელთა განცხადებით, პრობლემა არის ისიც, რომ არ არსებობს ქოურების გაწვრთნის თანმიმდევრული სისტემა.

ინტერვიუებში აღინიშნა, რომ კარგი იქნებოდა, ესგ-ის დანერგვაში მზარდაჭერის ფუნქცია საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებს შეეთავსებინათ, თუმცა ამჟამად მათ ამის ადამიანური თუ დროითი რესურსი და კომპეტენცია არ გააჩნიათ.

კომუნიკაციის პრობლემები. ადამიანური რესურსების ნაკლებობასთან ასევე დაკავშირებულია კომუნიკაციის პრობლემები, ფოკუსურ ჯგუფებში მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ინფორმაცია მათთან ქაოსურად და არაორგანიზებულად მოდის. ისინი აღნიშნავენ, რომ ხშირად ინფორმაცია, რომელსაც სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით იღებენ სხვადასხვა წყაროდან, ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

“ ცნებებზე ეთმა ექსპეჩტმა გვითხზა, ზომ ბავშვებს უნდა ვუმეოჩოთ და მეოჩემ გვითხზა, ზომ მხოლოდ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ზომ ზედსებს აზ ავცდეთ, ძალიან დამაბნეველია

ფოკუს-ჯგუფი სკოლაში

სკოლებამდე და მასწავლებლებამდე ინფორმაციის სწორად მიტანის პრობლემებზე საუბრობენ სასწავლო გეგმების სამმართველოს წარმომადგენლებიც და აღნიშნავენ, რომ ინფორმაცია ბოლო რგოლამდე ყოველთვის გამართულად არ მიდის.

“ შინაახსობივი დიდები ჩვენს ექსპეიტებს ედაპაჰაკებიან, ექსპეიტები - ქოუჩებს, ქოუჩები - მასწავლებლებს და ასე პიჰამიდასავით იშდება. შესაბამისად, დანაკაჰი აჰის

ინტერვიუ მარიამ ჩიქობავასთან

თუმცა სასწავლო გეგმების სამმართველოში იმასაც აღნიშნავენ, რომ, ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლებიც არასწორად აღიქვამენ მათთან მიტანილ ინფორმაციას. მაგალითად, როცა იცვლება რაღაცის ფორმა, ისინი ამას ფუნდამენტურ ცვლილებად აღიქვამენ. რეფორმის ავტორები ამბობენ, რომ სხვადასხვა კომპონენტში შეტანილი ცვლილებები დანერგვის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ იგეგმება და ეს ბუნებრივი პროცესია.

ზოგჯერ, როგორც ჩანს, ასევე პრობლემაა ცენტრალური უწყებებიდან ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა მედიასაშუალებებთან ინტერვიუს გზით, რადგან მედიასაშუალებები ზოგჯერ არასრულად წარმოადგენენ ინფორმაციას, რაც მასწავლებლების დაბნეულობას იწვევს.

თავის მხრივ, მასწავლებლები იმასაც აღნიშნავენ, რომ კომუნიკაცია მეორე მიმართულებითაც არ არის ეფექტური - მასწავლებლებს არა აქვთ მოლოდინი, რომ მათ მოსაზრებებს ვინმე გაითვალისწინებს. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მასწავლებლები ამაში საკუთარ პასუხისმგებლობასაც ხედავენ:

“ მასწავლებლებს გუდწიფედობა გვაკდია და გაბედუება, უფჰო მეტს ჰომ ვამბობდეთ, უფჰო მეტს გაითვადისწინებდნენ საგნობივი ექსპეიტების

ფოკუს-ჯგუფი სკოლაში

კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებული პრობლემები. კომპლექსური დავალება ესგ-ის მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს წარმოადგენს, მაგრამ მასთან დაკავშირებული სირთულეები მუდმივად განხილვის საგანია. კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებული პრობლემები ყველა ფოკუსურ ჯგუფში წამოიჭრა. ამ პრობლემებზე ინფორმირებულები არიან სასწავლო გეგმების სამმართველოშიც, სადაც ამბობენ, რომ ზოგჯერ პედაგოგების მიერ არასწორად აღიქმება ახალი ესგ-ის საკვანძო საკითხები. ეს შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ზემოთ აღწერილ კომუნიკაციის პრობლემებთან. სასწავლო გეგმების სამმართველოს წარმომადგენელთა თქმით, პედაგოგები ხშირად ვერ იაზრებენ კომპლექსური დავალების არსს და შედეგად ისეთი კურიოზული შემთხვევებიც კი დაფიქსირებულა, როცა პედაგოგს მასწავლებლისთვის განკუთვნილი კოგნიტური რუკა, მატრიცა, მოსწავლისთვის განკუთვნილი ჰგონია. მასწავლებლებს ასევე უჭირთ კომპლექსური დავალების დაკავშირება სასწავლო პროცესთან და „შედეგად, ზოგჯერ სწავლების პროცესი ცალკე მიდის, კომპლექსური დავალება კი - ცალკე, რაც დიდი გამოწვევაა“. ასევე ხშირია შემთხვევები, როცა კომპლექსური დავალებების შესრულებისას მასწავლებლები ორიენტაციას „ძლიერ, კარგ“ მოსწავლეებზე იღებენ მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ეს დავალებები, ამ პროექტის ავტორთა აზრით, ძალიან დიფერენცირებულია და შესაბამისად, ეს მასწავლებლების პრობლემაა. მასწავლებლები კი, თავის მხრივ, კომპლექსურ დავალებებს განიხილავენ არა როგორც რესურსს, რომლის ადაპტირებაც და საკუთარ პრაქტიკაზე მორგება შეუძლიათ, არამედ როგორც დირექტივას. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ მასწავლებლებისთვის კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მთავარ საზრუნავს წარმოადგენს ფორმა და არა შინაარსი: ისინი ორიენტირებულნი არიან მატრიცის შევსებაზე. პროექტის ავტორთა აზრით, ერთხელ შევსებული მატრიცა მათ საშუალებას აძლევს, თანდათან შეიტანონ ცვლილებები, თუმცა, მათი თქმით, მასწავლებლები ამაშიც ცუდად ერკვევიან, ანუ კომუნიკაციის პრობლემები ამ შემთხვევაშიც ძალიან თვალსაჩინოა.

მასწავლებლები ფიქრობენ, რომ კომპლექსური დავალებები საკმაოდ რთული შესასრულებელია მოსწავლეებისთვის.

“ მე-8 კლასედ ბავშვს *ჩვა* საგანში ჰქონდა კომპლექსური დავალება და უკვე დედამისი ჩაეხით და სურ სხვა სახე მიიღო ამან.

ფოკუსურ ჯგუფებში განხილვებზე გამოვლინდა, რომ კომპლექსურ დავალებებში გასარკვევად მასწავლებლებს ექსპერტებისგან დამატებითი დახმარება სჭირდებათ.. ისინი ითხოვენ საგნების მიხედვით კომპლექსური დავალებების მაგალითებს, რომ შემდგომ ადაპტირებული სახით გამოიყენონ სკოლაში. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით სამინისტრომ 2023 წლის იანვარში ონლაინ ვებინარების სერია ჩაატარა მასწავლებლებისათვის, სადაც განიხილეს კომპლექსური დავალების რაობა და სხვადასხვა საგნებში მისი განხორციელების ვარიანტები.

სკოლების ავტონომიასთან დაკავშირებული პრობლემები. როგორც ზევით აღვნიშნეთ, რეფორმის ავტორები და ზოგი ექსპერტი ფიქრობს, რომ ახალი სასწავლო გეგმა და მისი დანერგვის პროცესი სკოლას და მასწავლებლებს საკმაო თავისუფლებას აძლევს. მარიამ ჩიქობავას განცხადებით, მთავარი მოთხოვნაა, კონსტრუქტივიზმის პრინციპები იყოს დაცული, „ეს არის წითელი ხაზი“, რომლის გადალახვაც მასწავლებლებს არ შეუძლიათ.

თუმცა სხვა ექსპერტების მოსაზრებით, ასევე, კვლევის პროცესში გამოკითხული ბევრი მასწავლებლების აზრით, სასწავლო გეგმა და მისი დანერგვის მოდელი ერთი მიდგომის დანერგვას ცდილობს ცენტრალიზებულად და მასწავლებლებსა და სკოლებს არჩევანს უზღუდავს.

“ იმის მაგივრად, რომ ამ მოდელის თანახმად სკოდა უფრო ავტონომიური გამხდარიყო, მეტი მიება სამინისტროს, თან კონკრეტულ ეხთ ან ოხ ადამიანს ესგ-დან

ინტერვიუ სკოლის დირექტორთან

განათლების ექსპერტ სიმონ ჯანაშიას განცხადებით, იმის თქმა, რომ ახალი სკოლის მოდელი საგანმანათლებლო რეფორმას წარმოადგენს, არასწორი იქნება. მისი აზრით, ეს არის უბრალოდ სწავლების ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც სამინისტრომ სავალდებულო გახადა ყველა სკოლისათვის.

ესგ-ის სამმართველოს ექსპერტის, ფსიქოლოგ ია აფთარაშვილის თქმით, სასწავლო გეგმების გუნდი იზიარებს ბევრ კრიტიკულ მოსაზრებას და აცნობიერებს ესგ-ის განხორციელებაში არსებულ მრავალ პრობლემას კომუნიკაციის სირთულეებისა და რესურსების სიმწირის ჩათვლით. თუმცა, სამმართველოს წარმომადგენელთა თქმით, დიდ პრობლემას წარმოადგენს კონსტრუქციული უკუკავშირის სიმწირე, პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული წინადადების და შემოთავაზებების არარსებობა. ეს მიუთითებს თვით რეფორმის პროცესის არასწორ დაგეგმვაზე, მასში ექსპერტების, სკოლის წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სისტემური მექანიზმების არარსებობაზე.

მესამე თაობის ესგ-ის დანერგვის თანხვედრა სხვა რეფორმებთან

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი თავის თავში მოიზრებს მჭიდრო კოორდინაციას ზოგადი განათლების საფეხურზე მიმდინარე სხვა რეფორმებთან. ესგ-ის დანერგვაზე პირდაპირი გავლენა აქვს მასწავლებელთა მომზადებას და კომპეტენციებს. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, თანხვედრა იყოს **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემასთან**. მარიამ ჩიქობავა მიიჩნევს, რომ **ამჟამად მოქმედი მასწავლებლის სტანდარტი მოძველებულია** და არ არის სრულ თანხვედრაში ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საგულისხმოა, რომ განათლებისა და მეცნიერების ახალი სტრატეგიის ზოგადი განათლების სამოქმედო გეგმა მასწავლებლის ახალი სტანდარტის შექმნას ითვალისწინებს 2023 წლის მე-4 კვარტალში.

ზოგადად, როგორც ექსპერტები, ასევე მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ახალ ესგ-სა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემას შორის ბევრი აცდენაა. ეს შეეხება როგორც რეფორმის კონცეპტუალურ მხარეს, ასევე განხორციელების პროცესს, და რეფორმების განმახორციელებელ უწყებებს შორის კომუნიკაციას.

არსობრივ განსხვავებებს რაც შეეხება, განათლების ექსპერტი ნათია ანდლულაძე მიიჩნევს, რომ ეს **ორი სარეფორმო მიმართულება კატეგორიულად ეწინააღმდეგება ერთმანეთს**: ესგ-ში სკოლაზე დაფუძნებული მიდგომა განვითარდა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემა კი სრულიად ცენტრალიზებული იყო.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული მასწავლებლები თითქმის ერთხმად ამბობენ, რომ ახალი სკოლის მოდელი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში. ერთი მხრივ, ისინი აცხადებენ, რომ საგამოცდო საკითხები არ გამომდინარეობს იქიდან, რასაც „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში სწავლობენ და იყენებენ. მეორე მხრივ კი, „ის რასაც ვაბარებთ და ვწერთ გამოცდებზე, თითქმის არ გვადგება პრაქტიკაში“. მასწავლებელთა თქმით, არაკოორდინირებულია სქემის მოთხოვნები და ახალი სკოლის მოდელი, მაგალითად, მათი თქმით, სქემით მაძიებელ მასწავლებელს გაკვეთილის გეგმები მოეთხოვება, რომელსაც ახალი სკოლის მოდელი საერთოდ არ ითხოვს.

ესგ-ის რეფორმის ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ **ბოლო დროს უფრო შეინიშნება ამ ორი სარეფორმო მიმართულების დაახლოების ტენდენცია**, უფრო კონკრეტულად ეს შემდეგ ფაქტორებში აისახება: მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის ბოლო ვერსიით გარე დაკვირვება მთლიანობითი შეფასებით ჩანაცვლდა - მასწავლებელმა ნაცვლად ერთი გაკვეთილისა, მთლიანად პროცესი უნდა აჩვენოს, რაც უფრო ახლოს არის ახალი ესგ-ს პრინციპებთან. თუმცა, როგორც მომდევნო თავში ვნახავთ, მთლიანობითი (360 გრადუსიანი) შეფასებაც შეიცვალა ავტორიზაციის პროცესთან თანხვედრაში მოსაყვანად. ასევე, რეფორმების დაახლოებად თვლიან იმ ფაქტს, რომ ესგ-ის დანერგვის პროცესში ჩართული ქოუჩები კონტრაქტს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან დებენ. თუმცა ეს უფრო ტექნიკური საკითხია და შეიძლება უბრალოდ იმით აიხსნას, რომ სსიპ-ებს უფრო მეტი თავისუფლება აქვთ ამ საკითხებში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის, ბერიკა შუკაკიძის თქმით, ორი პროცესის თანხვედრაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ცენტრის მიერ შემუშავებულია „ახალი სკოლის მოდელის“ მართვის და ლიდერობის მოდული.

ნებისმიერ შემთხვევაში იკვეთება, რომ ამ ორი სარეფორმო მიმართულების დიზაინის და მათში ცვლილებების დაგეგმვის ეტაპზე **სრულფასოვნად არ ხდება ერთი მიმართულების მიერ მეორე მიმართულების პრინციპებისა და თავისებურებების გათვალისწინება**. არსებობს კოორდინაციის მექანიზმები: სამუშაო ჯგუფები, წერილობით ინფორმაციის გაცვლა და უკუკავშირის მოთხოვნა-მიწოდება. თუმცა კოორდინაცია, რაც არ უნდა მაღალ დონეზე იყოს, რეფორმების ერთიანი მიზნით და ერთიანი მიდგომით შემუშავებისაგან განსხვავდება.

ზოგადი განათლების დეპარტამენტის წარმომადგენელთა თქმით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროექტი **„შეფასება განვითარებისათვის“ მოიაზრება, როგორც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის წარმატებით დანერგვის ერთ-ერთი ბერკეტი**. თუმცა ინტერვიუებში ასევე გამოიკვეთა, რომ მათ არა აქვთ ზუსტი ინფორმაცია პროექტის დეტალებზე: სამიზნე ჯგუფები, განხორციელების ეტაპები და ა.შ. იმისათვის, რომ ასეთი ეროვნული დიაგნოსტიკური შეფასება სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში სათანადოდ იქნას გამოყენებული, ინფორმაციის გაზიარება, უკუკავშირის მიცემა და ასახვა არ არის საკმარისი. პროექტი უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ესგ-ის დანერგვის პრინციპების და პროცესის გათვალისწინებით და შესაბამისად, ესგ-ის გუნდის სრული ჩართულობით.

როგორც კვლევაში გამოიკვეთა, მესამე თაობის ესგ-ის შემუშავება და დანერგვა ყველაზე მეტად თანხვედრაშია სკოლების ავტორიზაციის პროექტთან, რომელიც 2023 წელს უნდა დაიწყოს. მარიამ ჩიქობავას განცხადებით, ავტორიზაციის ახალი სტანდარტი, რომელიც 2022 წლის დეკემბერში დამტკიცდა, ეფუძნება ახალ სასწავლო გეგმას. ძველი სტანდარტისგან განსხვავებით, ის არ არის „ჩექ ლისტი“, რომელიც ნაკლებად იყო შინაარსობრივ საკითხებზე

ორიენტირებული და უფრო ინსტიტუციური სახე ჰქონდა. შინაარსობრივი საკითხების შეფასება უფრო კომპლექსური და რთულია და ჩიქობავას თქმით, ამას ეს სტანდარტი ახერხებს. იმას, რომ ავტორიზაციის ახალი სტანდარტი ჰარმონიაშია მესამე თაობის ესგ-სთან და მისი დანერგვის პროცესთან, ადასტურებს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე კახაბერ ერაძე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელსაგრეთვე დამტკიცდა სკოლის დირექტორის ახალი სტანდარტი, რომელიც ასევე სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

როგორც ექსპერტებთან, ისე გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან საუბრით გამოვლინდა, რომ, ხშირ შემთხვევაში, რეფორმების კოორდინირებას განაპირობებს რეფორმების განმახორციელებელ უწყებათა ხელმძღვანელებს შორის კარგი პიროვნული დამოკიდებულებების არსებობა. ასე მაგალითად, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და ეროვნული სასწავლო გეგმის სამმართველოს შორის თანამშრომლობა ორგანულად შედგა, რაც შესაძლებელია, სხვა მიზეზებთან ერთად, იმითაც იყო განპირობებული, რომ მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილი ამავდროულად, ცენტრის დირექტორიცაა.

ზოგადი განათლების რეფორმა - სკოლების ხარისხის გარე შეფასების სისტემის დანერგვა

ამჟამად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია, პოლიტიკის გამტარებლების და დარგის ექსპერტების თანახმად, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ავტორიზაცია საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურაა, რომლის ფარგლებშიც მოწმდება დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესაბამისობა სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოკლე ისტორია

ავტორიზაციის პროცესს საქართველოში გრძელი ისტორია აქვს. ამჟამად, ავტორიზაციის პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მხოლოდ კერძო სკოლებია ჩართული და ისინი ავტორიზაციას 2010 წელს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის დებულების თანახმად გადიან. ამ თავდაპირველი დებულების თანახმად ავტორიზაციის პროცესი გულისხმობს სკოლის შესაბამისობის დადგენას შემდეგი სტანდარტების მიმართ: ა. საგანმანათლებლო პროგრამები; ბ. მატერიალური რესურსი; გ. ადამიანური რესურსი.¹⁴ ამასთან, წლების განმავლობაში კანონში არსებობდა ჩანაწერი სკოლებში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ. თუმცა, ეს მექანიზმი, სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, არ აღმოჩნდა ქმედითი, რადგან ათი წლის განმავლობაში სულ სამმა კერძო სკოლამ გაიარა აკრედიტაცია¹⁵.

უკვე დიდი ხანია, იგეგმება საჯარო სკოლების ავტორიზაციაც. თავდაპირველი გეგმის თანახმად, საჯარო სკოლების სავალდებულო ავტორიზაციის ვადად 2015 წელი იყო განსაზღვრული, თუმცა ეს პროცესი გადაიდო და 2016 წლის გეგმით 2020-2021 წლებში უნდა დასრულებულიყო. ავტორიზაციის გადადება სკოლების არასათანადო მზაობით აიხსნა¹⁶.

2020-2021 წლებში კიდევ ერთხელ გადაიდო ავტორიზაციის პროცესი და მთავარ მიზეზად ახალი სკოლის მოდელის დანერგვის ვადები დასახელდა. მაშინდელი მინისტრის მოადგილის, ეკა დგებუაძის განცხადებით, მოდელი, რომელიც იმ ეტაპზე საქართველოს მხოლოდ 165 სკოლაში ხორციელდებოდა, მიზნად ისახავდა როგორც „სკოლების ინფრასტრუქტურის მონესრიგებას, ასევე სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდების დანერგვას“. შესაბამისად, დგებუაძის თქმით, ავტორიზაციის პროცესის გადადება მართებული იყო იმ დრომდე, როცა საქართველოს ყველა საჯარო სკოლა ჩაერთვებოდა ამ პროცესში.¹⁷ გარდა ამისა, ავტორიზაციის გადადების მიზეზად დასახელდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შემუშავების მიმდინარე პროცესი.

¹⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1031755?publication=0>

¹⁵ <https://edu.aris.ge/news/skolebshi-saganmanatleblo-programis-akreditaciis-meqanizmi-agar-iarsebebs-elis-tu-ara-sadjaro-skolas-gauqmeba-tu-avtorizacias-ver-gaivlis.html>

¹⁶ <https://edu.aris.ge/news/ra-standartebis-unda-akmayofilebdes-sadjaro-skola-avtorizaciis-misagebad-procesi-dawyebulia.html>

¹⁷ <https://publika.ge/skolebis-avtorizaciis-procesi-2026-2027-wlistvis-gadaiwevs/>

ავტორიზაციის ახალი სტანდარტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალ სტანდარტზე მუშაობა განათლების ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა 2021 წელს დაიწყო. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის განმარტებით ბარათში ეს გადაწყვეტილება ასეა ახსნილი: „დღეის მდგომარეობით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები აღარ იძლევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სრულფასოვანი შეფასების შესაძლებლობას. ავტორიზაციის პროცესის გამჭვირვალობისა და სანდოობის კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ მოქმედი სტანდარტებით შეფასება აღარ არის სკოლის განვითარებაზე ორიენტირებული. მოქმედი სტანდარტები არ ითვალისწინებს სკოლის სპეციფიკასა და თავისებურებებს. სტანდარტები აღწერს სკოლის მდგომარეობას და არ არის ორიენტირებული რეალური პროცესების შეფასებაზე“.

ავტორიზაციის ახალ სტანდარტზე მუშაობის პარალელურად მთავრობამ კანონიდან ამოიღო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის შესახებ ჩანაწერი. სამინისტროსა და ხარისხის განვითარების ცენტრის განცხადებით, ამ ცვლილებების მიზანი იყო საერთაშორისო პრაქტიკებთან შესაბამისობაში მოსვლა, საჯარო სკოლების ჩართვა ავტორიზაციის პროცესში და გრძელვადიან პერსპექტივაში სკოლების განვითარებაზე ზრუნვა¹⁸.

ავტორიზაციის ახალი სტანდარტი 2022 წლის 19 დეკემბერს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა¹⁹. სტანდარტი კომპლექსურია და ოთხ სხვადასხვა მიმართულებას აერთიანებს:

ა) სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ა.ა) სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ა.ბ) სკოლის დაგეგმვა და განვითარება.

ბ) სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ბ.ა) კურიკულუმის შემუშავება;
- ბ.ბ) კურიკულუმის განხორციელება;
- ბ.გ) კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება;
- ბ.დ) კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია.

გ) სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- გ.ა) პერსონალის მართვა;
- გ.ბ) პერსონალის განვითარება;
- გ.გ) პროცესების მართვა;
- გ.დ) ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება;
- გ.ე) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა;
- გ.ვ) საინფორმაციო რესურსები;
- გ.ზ) ფინანსური რესურსები.

დ) მოსწავლეთა მხარდაჭერასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- დ.ა) მოსწავლეთა უფლებების დაცვა;
- დ.ბ) მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

¹⁸ <https://edu.aris.ge/news/skolebshi-saganmanatleblo-programis-akreditaciis-meqanizmi-agar-iarsebebs-elis-tu-ara-sadjaro-skolas-gauqmeba-tu-avtorizacias-ver-gaivlis.html>

¹⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/>

5666011?publication=0&fbclid=IwAR39quqyhWmc01l39GZtvaKqvcjYWmZ7e1CJHzv4KFLjyT-5WafeUjiRhow

სკოლების დიაგნოსტიკური შეფასება

ავტორიზაციის პროცესის კომპლექსურობიდან გამომდინარე, დაგეგმილია საქართველოში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაყოფა ოთხ ჯგუფად და მათი ეტაპობრივი ავტორიზაცია. ამ მიზნით 2022 წელს ჩატარდა ყველა საჯარო სკოლის დიაგნოსტიკური თვითშეფასება. სკოლების ოთხ კატეგორიად დაყოფასთან ერთად, დიაგნოსტიკური თვითშეფასების მიზანი იყო, ზოგადად, სკოლებში არსებულ მდგომარეობაზე კომპლექსური სურათის შექმნა. ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, კახაბერ ერადის თქმით, დიაგნოსტიკურმა შეფასებამ სკოლები ასევე შეამზადა ავტორიზაციის პროცესისათვის - სკოლები მიხვდნენ, რომ ეს პროცესი არა დასჯაზე, არამედ მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ფიქრობენ, რომ თვითშეფასებები მეტ-ნაკლებად რეალისტურია.

დიაგნოსტიკური თვითშეფასების შედეგად გამოვლინდა 402 სკოლა, რომელიც მზად არის, ავტორიზაცია 2023 წელს გაიაროს. ყველა სკოლის ავტორიზაციის დასრულება დაგეგმილია 2026 წელს. ცენტრმა თვითშეფასების ინსტრუმენტისთვის ციფრული პლატფორმა შექმნა, რომელსაც სკოლა ავსებს ექსპერტთა მხარდაჭერით. ხარისხის განვითარების ცენტრმა ამ პროცესში სკოლების დახმარების მიზნით ინსტიტუციური თვითშეფასების განვითარების საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში ექსპერტ-მხარდაჭერთა ჯგუფი დაიქირავა.

ციფრული პლატფორმა, რომელიც დიაგნოსტიკური თვითშეფასებისთვის შეიქმნა, მომავალში უფრო დაიხვეწება. პლატფორმისთვის შექმნილი ანალიტიკური რესურსი შეძლებს მაქსიმალურად სრულყოფილად, ავტომატურ რეჟიმში გაანალიზდეს მონაცემები. ხარისხის განვითარების ცენტრის ანალიტიკური რესურსები შეზღუდულია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პლატფორმამ ავტომატურად აჩვენოს არა მხოლოდ არსებული მდგომარეობა, არამედ ისიც, თუ რა პროგრესი განიცადა ამა თუ იმ სკოლამ.

ავტორიზაციის პროცესი

ავტორიზაციის ახალი სტანდარტის შესაბამისად, სკოლამ უნდა შეიტანოს განაცხადი ავტორიზაციაზე და ამის შემდეგ შეავსოს თვითშეფასების კითხვარი. ეს პროცესი უნდა იყოს მონაწილეობითი - სკოლის ადმინისტრაციის გარდა კითხვარის შევსებაში მონაწილეობას მიიღებს მთელი სასკოლო თემი მოსწავლეებისა და მშობლების ჩათვლით. სწორედ ეს იქნება ძირითადი განსხვავება თვითშეფასების კითხვარისგან, რომელიც ამჟამად დიაგნოსტიკურ შეფასებაში გამოიყენება. სკოლებს ავტორიზაციის პროცესისთვის მომზადებაში დაეხმარება სამინისტროს რეფორმების მხარდაჭერის პროგრამა თავისი ექსპერტთა ჯგუფით.

სკოლის მიერ საავტორიზაციო განაცხადის შევსების შემდეგ ცენტრი ამოწმებს განაცხადის შესაბამისობას დადგენილ წესებთან და მაძიებლის სტატუსს ანიჭებს სკოლას. შემდგომ ეტაპზე საავტორიზაციო განაცხადს შეისწავლის ექსპერტთა ჯგუფი და გეგმავს საავტორიზაციო ვიზიტს სკოლაში, რომლის დროსაც მოწმდება ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტები მოკვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის თვითშეფასების ადეკვატურობასთან ერთად სკოლის განვითარების გეგმა უნდა შეაფასოს.

სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება ოთხდონიანი სკალით: „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ და „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტულ სტანდარტთან მიმართებაში სკოლა არ შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს, რესურს-ცენტრის ინტენსიური ჩართულობით და სხვა სააგენტოებთან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციით სკოლამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისობის უზრუნველყოფის რეალისტური გეგმა.

თვითშეფასების შედეგების, შესაბამისობის გეგმის და მისი შესრულების მონიტორინგის საფუძველზე ცენტრი მიმართავს სამინისტროს სკოლის სტატუსის მიზანშეწონილობის საკითხის დასადგენად. სკოლას მიეცემა ნებისმიერი შეუსაბამობის გამოსწორებისთვის ვადა. იმ შემთხვევაში, თუკი სკოლამ საცდელ ვადაში ვერ გამოიჩინა სათანადო ძალისხმევა შეუსაბამობების გამოსასწორებლად, ამ შემთხვევაში დღის წესრიგში დადგება სკოლის დახურვის საკითხი.

იმისათვის, რომ ავტორიზაცია რეალურად ხარისხის განვითარებისთვის იქნას გამოყენებული, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი შესაბამისობის დადგენის შემდეგ დგება, როცა სკოლებმა უნდა შეიმუშაონ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ცენტრის თანახმად, ავტორიზაციის ოთხნობიანი გეგმის ფარგლებში, ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია სკოლების საჭიროებები და ეს გეგმა მიენოდება ყველა რელევანტურ სააგენტოს. ამ ეტაპზე ამ ფუნქციას ცენტრი ასრულებს, თუმცა შემდგომ, ავტორიზაციის პროცესში, გეგმას სკოლები თავად შეადგენენ სააგენტოებთან კონსულტაციით.

ავტორიზაცია და სკოლების ავტონომია

ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია სკოლების ავტონომიის საკითხი. ავტორიზაციის შედეგებზე და, რაც მთავარია, შესაბამისობის გეგმის შემუშავებაზე მოქმედებს რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები: არის ბევრი საკითხი, რომელთა მოგვარებაც სკოლას საკუთარი ძალებით და რესურსებით შეუძლია, მაგრამ ამჟამად, არსებული კომპეტენციის და უფლებამოსილების ფარგლებში, სკოლას დამოუკიდებლად არ შეუძლია ბევრი პრობლემის აღმოფხვრა და სხვა ცენტრალურ უწყებებზე დამოკიდებული. კახაბერ ერადის თქმით, სისტემის მიზანი უნდა იყოს, ეს ბალანსი სკოლის მხარეს გადაინონოს - ანუ სკოლას ჰქონდეს უფლებამოსილება და შესაძლებლობა, რომ შესაბამისობის გეგმიდან რაც შეიძლება მეტი პირობის შესრულება შეძლოს დამოუკიდებლად.

იმ აზრს, რომ სკოლებს უფრო მეტი ავტონომია უნდა ჰქონდეთ, ყველა გამოკითხული ექსპერტი ეთანხმება. ასევე აღნიშნავენ, რომ სკოლების ავტონომიის გაფართოების გარეშე ავტორიზაციის პროცესს შესაძლოა, აზრი არც ჰქონდეს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

ავტოჩიზაციასა და სკოლის ავტონომიის უხითეხთმიმახთების საიდუსტია-ციოდ კახგი მაგადითია მასწავლებელთა პხოფესიუდი განვითაჲება. ავტო-ჩიზაციის სტანდაჩგი მოითხოვს, ჲომ სკოდას შემუშავებუდი ჰქონდეს პეხსონადის პხოფესიუდი განვითაჲების სისტემა და მექანიზმები. შესა-ბამისად, მასწავლებლებმა თავად უნდა განსაზღვრონ საკუთაჲი პხოფესიუდი განვითაჲების საჭიხოებები, ჲომედთა ვადიდაციაც უნდა მოხდეს სკოლის მიეჲ. სკოდას შეუდრია მასწავლებელთა პხოფესიუდი განვითაჲების ცენტის მიმახთოს, ჲომედრც სკოდას შეიძლება დაეხმაჲოს შესაბამისობის გეგმის შედგენაში. ამ პხოცესში გამოვინდება სისტემუჲი პხობდემები, ჲომედთა მოგვაჲებაც მასწავლებელთა პხოფესიუდი განვითაჲების ცენტრმა უნდა უბ-ჲუნვედყო. თუმცა, ეჲადის თქმით, ნაცვდად იმისა, ჲომ ცენტრადრებუდად მოხდეს ყვედა სკოლის და მასწავლებლის ინდივიდუადუჲი საჭიხოებების დაკმაყოფილება, სკოდას უნდა ჰქონდეს საკუთაჲი ჲესუჲისი იმისათვის, ჲომ პხოფესიუდი განვითაჲების კუთხით სკოდაში აჲსებუდი პხობდემების მო-საგვაჲებდად სხვა გზებს მიმახთოს. ასეთი მიდგომა შეიძლება იყოს მას-წავლებლების უხითეხთდახმაჲება, ჲეგრონში აჲსებუდი უნივეჲსიტეტების რაჲთუდობა და ა.შ.

მასწავლებელთა პხოფესიუდი განვითაჲების ცენტრის ჲედმდღვანედი, ბეჲი-კა შუკაკიძე, თავის მხივ, ფიქრობს, ჲომ ცენტრს საკმაჲისი ადამიანუჲი ჲესუჲისი გააჩნია, დაეხმაჲოს სკოლებს, პხოფესიუდი განვითაჲების სფეჲოში გამოავინროს ჲეადუჲი საჭიხოებები და შემდგომ შესთავაზოს განვითაჲების შესაძლებლობები ამ საჭიხოებების მიხედვით. მისი თქმით, ცენტრი საქა-თვედროს მასშტაბით 1470 თანამშრომედს ასაქმებს, მათ შოხის აჲის სამასზე მეტი ტეენინგგავინდი გაჲე დაკვირვების სპეციადისტი, ჲომდებსაც დადუდთ, სწოჲედ ავტოჩიზაციის პხოცესში, გაკვეთილზე დაკვირვებისას მასწავლე-ბელთა საჭიხოებების გამოვინა. ჲაც შეეხება ავტოჩიზაციის შემდეგ სკო-ლის შესაბამისობის გეგმის შემუშავებას და განხოჲციელებას, ცენტრის დიჲექტოჲის თქმით, ცენტრს აქაც აქვს შესაძლებლობა, ნებისმიეჲი საჭი-ხოებაზე მოჲგებუდი ტეენინგ მოდულები შესთავაზოს მასწავლებლებს: ამჲა-მად ცენტრს აქვს 249 ტეენინგ მოდუდი საგნობივი ტეენინგების რათვედრით. კონკეტუდად, მასწავლებელთა პხოფესიუდი განვითაჲების პხოცესში უნი-ვეჲსიტეტების რაჲთვაზე, შუკაკიძე ფიქრობს, ჲომ ამ ეტაპზე უნივეჲსი-ტეტებს აჲა აქვთ საკმაჲისი მზაობა ამისთვის. უფო მეტიც, საქათვედროში ამ ეტაპზე მასწავლებელთა პხოფესიუდი განვითაჲების ეჲოვნუდი ცენტრის გაჲდა ამის ჲესუჲისი სხვა აჲც ეჲთ Სგანრზაციას აჲა აქვს. უნივეჲსიტეტებმა (და სხვა Სგანრზაციებმა) ჲომ შეითავსონ ეს ფუნქცია, მათ ცენტრიდან უნდა მიიზიდონ ტეენეჲები და აიღონ სატეენინგო ჲესუჲსები, ჲაც ჯამში ბევიად მეტ ფინანსებს და დადისხმევას მოითხოვს.

იგი ხაზს უსვამს ასევე, სკოლის დონეზე, საგნობივი კათედრების გადდრეჲე-ბის აუცილებლობას და სკოლის დიჲექციის ჲოდს მასწავლებელთა პხოფესიუდი განვითაჲებასა და ზოგადად ხაჲისხის გაუმჯობესებაში.

უფრო ფართოდ რომ შევხედოთ, ავტორიზაციის პროცესში სკოლამ უნდა გაიაზროს ინდივიდუალური საჭიროება ადგილმდებარეობის, მოსწავლეთა რაოდენობის, ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის და სხვა მნიშვნელოვანი თვისებებიდან გამომდინარე, რომელთაც შესაძლოა შედეგი იქონიონ როგორც მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევებზე, ასევე სკოლის განვითარებაზე, მის როლზე სათემო ცხოვრებაში და ა.შ.

სკოლის ავტონომიის საკითხს, თავის მხრივ, მივყავართ ზოგადი განათლების დაფინანსებასთან. იმისათვის, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმაში თავისი რეალური საჭიროებიდან გამომდინარე შეიტანოს პუნქტები, მას უნდა ჰქონდეს თავისუფლად განსაკარგი ფინანსები. ზოგადი განათლების ამჟამად არსებული დაფინანსების მოდელის ფარგლებში, სკოლებს ფაქტობრივად არ რჩებათ სახსრები განვითარებისთვის და თავისუფლად განსაკარგავად. კახაბერ ერადის თქმით, დაფინანსების ახალი მოდელი 2024 წლისთვის შემუშავებული უნდა იყოს და 2025 წელს სკოლები უკვე ახალი წესის შესაბამისად უნდა დაფინანსდნენ. ახალი მოდელი მაქსიმალურად გაითვალისწინებს სკოლების თავისებურებებს.

აქ ისევ ჩნდება სხვადასხვა რეფორმების დროში აცდენის პრობლემა. როგორც ზემოთ მიმოვიხილეთ, ავტორიზაციის პროცესში, უფრო კონკრეტულად კი, სკოლების შესაბამისობის გეგმის სრულფასოვნად შესამუშავებლად აუცილებელია, სკოლებს ჰქონდეთ სათანადო ავტონომია. ავტონომიის გაფართოება კი თავისუფლად განსაკარგი რესურსების არსებობას, შესაბამისად, ზოგადი განათლების დაფინანსების ცვლილებას მოითხოვს. თუკი ასეთი ცვლილება 2025 წლამდე ვერ განხორციელდება, შესაძლოა, ავტორიზაციას ფორმალური ხასიათი ჰქონდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განათლებისა და მეცნიერების განვითარების 2022-2030 წლების სტრატეგიაში და ზოგადი განათლების სამოქმედო გეგმაში არ არის გათვალისწინებული სკოლების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება და დაგეგმვა.

ავტორიზაციის რისკები

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ზოგი ექსპერტი სკეპტიკურად არის განწყობილი ავტორიზაციის პროცესისადმი. გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია, საერთოდ არ ჩატარდეს ავტორიზაციის პროცესი და გადაიდოს განუსაზღვრელი ვადით ისევე, როგორც წინა წლებში. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია, წინასწარ გამოვლენილი 402 სკოლის ავტორიზაცია მართლაც ჩატარდეს 2023 წელს და შემდგომ ეს პროცესი შეფერხდეს, ან შეწყდეს. ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ ავტორიზაციის პროცესი ფორმალურად ჩატარდეს: ერთი მხრივ, თუ სახელმწიფოს უმთავრესი ინტერესი არის არა სკოლების რეალური განვითარება, არამედ უბრალოდ იმის ჩვენება, რომ ავტორიზაცია ჩატარდა, შესაძლებელია, ბევრ შემთხვევაში თვალის დახუჭვა. მეორე მხრივ, სკოლების მხრიდანაც შესაძლებელია ავტორიზაციის განაცხადის ფორმალურად შევსება, ზოგ შემთხვევაში, ადამიანების დაქირავება დოკუმენტაციის მოსამზადებლად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ესგ-ის რეალობაში დანერგვა ბევრი სკოლისთვის საკმაოდ რთულია.

განათლების ექსპერტ სიმონ ჯანაშიას შეფასებით, პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ავტორიზაციის შედეგებზე დიდი გავლენა შეიძლება იქონიოს პოლიტიკურმა პროცესებმა: თუკი ბევრმა სკოლამ ვერ გაიარა ავტორიზაცია, ეს შეიძლება გამოყენებულ იქნას სამინისტროსა და მთავრობის მიერ გატარებული განათლების პოლიტიკის კრიტიკის საფუძვლად. ამის თავიდან ასაცილებლად კი ადვილი შესაძლებელია, ავტორიზაცია მარტივად მიანიჭონ სკოლებს.

თუმცა, ყველაზე დიდი რისკის მატარებელია ავტორიზაციის დასჯის მექანიზმად გამოყენების შესაძლებლობა. ამ ეტაპზე განათლების სამინისტროს, ისევე, როგორც ხარისხის ცენტრის წარმომადგენელთა განცხადებით, ავტორიზაცია მხოლოდ და მხოლოდ სკოლების

განვითარებას ისახავს მიზნად და წარმოუდგენელია მისი სადამსჯელო მიზნით გამოყენება. თუმცა, განათლების სისტემაში არსებობს სხვადასხვა რეფორმების შედეგების სკოლების ადმინისტრაციის დასასჯელად გამოყენების გამოცდილება და პოლიტიკური სიტუაციის ცვლილების, ან მართვის რგოლების ცვლილებასთან ერთად, ადვილი წარმოსადგენია, რომ ეს მიდგომა შეიცვალოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს მიდგომა არ შეიცვლება, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით რთული იქნება სკოლების დარწმუნება, რომ ავტორიზაციის შედეგებს მათ წინააღმდეგ არ გამოიყენებენ. სისტემის მართვის არსებული სტრუქტურა და მექანიზმებიც გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ პოლიტიკური ჩარევის და დასჯის მექანიზმების გამოყენების ალბათობა საკმაოდ მაღალია. იქიდან გამომდინარე, რომ სისტემის რეალური დეცენტრალიზაცია წლების განმავლობაში ვერ განხორციელდა, გადაწყვეტილებების მიღების არაგამჭვირვალე და ბუნდოვანი პროცედურების პირობებში, ავტორიზაცია შესაძლოა პოლიტიკური და სხვა სახის ზეწოლების მიმზიდველ ინსტრუმენტად იქცეს.

უწყებათაშორისი კოორდინაცია ავტორიზაციის პროცესში

იქიდან გამომდინარე, რომ ავტორიზაციის პროცესი ასეთი მრავალმხრივი და მრავალკომპონენტია, სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაცია ამ პროცესში გადამწყვეტია. ამ ეტაპზე არ არსებობს ფორმალიზებული უწყებათაშორისი საბჭო, რომელიც ავტორიზაციის და მის შემდგომ პროცედურაზე იმუშავებს. თუმცა, არსებობს არაფორმალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილი არიან წევრები ყველა რელევანტური უწყებიდან. ავტორიზაციის ხედვა და კონცეფცია სწორედ ამ სამუშაო ჯგუფის მიერ არის შემუშავებული.

როგორც წინა თავშია აღწერილი, კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ავტორიზაციის ახალ სტანდარტზე და ავტორიზაციის კონცეფციაზე მუშაობის პერიოდში თანამშრომლობა განსაკუთრებით მჭიდრო იყო ეროვნული სასწავლო გეგმების სააგენტოსთან. ავტორიზაციის სტანდარტსა და შესაბამის თაობის ესგ-ს შორის გარდა კონცეპტუალური თანხვედრისა, მოსალოდნელია, რომ ორ პროცესში ერთი და იგივე ადამიანები იქნებიან ჩართული. მარიამ ჩიქობავას განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა მხარე ერთ ენაზე საუბრობდეს და ერთმანეთის ესმოდეს. ამ მიზნით ესგ-ის ქოუჩებს თავიდანვე შესთავაზეს, ავტორიზაციის ექსპერტების კონკურსში მიეღოთ მონაწილეობა, „ვინც არის მხარდამჭერი ესგ-ს დანერგვაში, მერე ის იქნება შემფასებელი“. დიაგნოსტიკურ თვითშეფასებაში გამოყენებული ციფრული პლატფორმის კითხვარიც ეროვნული სასწავლო გეგმების გუნდის მონაწილეობით შეიქმნა.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემასთან ავტორიზაციის პროცესისა და სტანდარტის თანხვედრა არ არის ისე გამოკვეთილი, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმების შემთხვევაში. თუმცა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში გარკვეული ცვლილებები შედის ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. კერძოდ, ავტორიზაციის სტანდარტი გულისხმობს ექსპერტთა ვიზიტს სკოლაში გაკვეთილზე დაკვირვების და სკოლის თემთან გასაუბრების ჩათვლით. ამიტომ სკოლის პრაქტიკული 360 გრადუსიანი შეფასებიდან ამოღებულ იქნა დაკვირვების კომპონენტი.

სხვა რეფორმებთან კოორდინაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება თვითშეფასებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასების შემდგომ ეტაპზე, როცა უნდა შემუშავდეს სკოლის შესაბამისობის გეგმა. ასეთი კოორდინაციის გარეშე, ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილის თქმით, შეუძლებელი იქნება სკოლის მხრიდან რეალისტური შესაბამისობის გეგმის დასახვა. ასე მაგალითად, თუკი სკოლა გეგმაში ერთ-ერთ პუნქტად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას შეიტანს, ცხადია, ეს შეთანხმებული უნდა იყოს ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემის ცვლილება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მოკლე ისტორია

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემას საქართველოში მრავალწლიანი ისტორია აქვს და ამ წლების განმავლობაში სქემამ არაერთი ცვლილება განიცადა. სქემის პირველი ვარიანტი 2011 წელს დამტკიცდა და იგი ითვალისწინებდა მასწავლებელთათვის სტატუსის შენარჩუნების და პროფესიული დანინაურების მიზნით გამოცდების ჩაბარებას, სავალდებულო და არჩევითი საქმიანობებით საჭირო კრედიტების დაგროვებას, ან ამ ორი პუნქტის კომბინაციას. სქემით გათვალისწინებული იყო სამი სტატუსი: სერტიფიცირებული მასწავლებელი, პირველი კატეგორიის მასწავლებელი და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი. ის მასწავლებლები, რომლებიც საგნობრივ და პროფესიული უნარების გამოცდას ვერ ჩააბარებდნენ, სერტიფიცირებას ვერ მიიღებდნენ და შესაბამისად, სქემის მიღმა რჩებოდნენ.

2015 წელს 2011 წლის სქემა გაუქმდა და ახალი, უფრო კომპლექსური სქემა შემუშავდა, რომელიც მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებას, პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას არეგულირებდა. სქემის ფარგლებში მასწავლებელთა ოთხი კატეგორია გამოიყო: პრაქტიკოსი, უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი და მენტორი მასწავლებელი. შესაბამისად, ყველა მოქმედი მასწავლებელი, არასერტიფიცირებული მასწავლებლების ჩათვლით, ჩაერთნენ სქემაში და ყველას მიეცა კარიერული წინსვლის შესაძლებლობა. 2015 წლის სქემის ფარგლებში მასწავლებელს კარიერული განვითარების შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად უნდა გაეწვოდო პროფესიული განვითარების თანმიმდევრული გზა. კარიერული წინსვლისათვის, სქემით განსაზღვრული ოთხი კატეგორიის სტატუსის მოსაპოვებლად, მასწავლებლებს უნდა დაეგროვებინათ სათანადო რაოდენობით კრედიტ-ქულები სხვადასხვა სავალდებულო და დამატებითი აქტივობების განხორციელების გზით.

2015 წლის სქემა, ერთი მხრივ, წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნეოდა, რადგან ერთ სივრცეში მოაქცია მასწავლებლობის დაწყებასთან, კარიერულ ზრდასთან, განვითარებასთან და პროფესიული გასვლასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. თუმცა დარგის ექსპერტები, ისევე, როგორც სქემაში მონაწილე მასწავლებლები, ძალიან ბევრ პრობლემას აწყდებოდნენ სქემის შინაარსსა და განხორციელების პროცესში. როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კვლევაშია აღნიშნული, „მასწავლებლებმა დაიწყეს ე.წ. კრედიტების მოგროვებისთვის „რბოლა“, რამაც მოსწავლე და სასწავლო შედეგი მნიშვნელობით უკანა პლანზე გადაწია“²⁰.

2015 წლის სქემის ფარგლებში, სკოლების ბაზაზე მასწავლებელთა საქმიანობის შესაფასებლად შეიქმნა შიდა შეფასების ჯგუფები. ეს, ერთი მხრივ, შეიძლება ჩაგვეთვალოს სკოლების დეცენტრალიზაციისა და სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების პროცესისკენ წინ გადადგმულ ნაბიჯად. თუმცა, მიუხედავად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ფასილიტატორებისა და შეფასების ჯგუფებისათვის დაგეგმილი რიგი პროფესიული განვითარების აქტივობებისა, შეფასების ჯგუფებს არ აღმოაჩნდათ სათანადო კომპეტენცია და მომზადება. ამასთან, შიდა შეფასების ჯგუფის საქმიანობაც კრედიტების მინიჭებაზე იყო ფოკუსირებული..

ანალოგიურად, 2015 წლის სქემის მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლებოდა თვითშეფასების კითხვარის შევსება - მასწავლებლების რეფლექსია საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის

²⁰ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2021

ძლიერ და სუსტ მხარეებზე და პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენა. თუმცა, შემდგომმა შეფასებებმა და კვლევებმა გამოავლინა, რომ ბევრი მასწავლებელი კითხვარს მხოლოდ ფორმალურად ავსებდა, ზოგ შემთხვევაში კომერციული გარიგების საგანიც კი იყო.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა ამჟამად

2020 წელს სქემაში ფუნდამენტური ცვლილებები გატარდა. შეიცვალა პროფესიული განვითარებისადმი მიდგომა. ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას დაევალა, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების გზით, აემოქმედებინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე მასწავლებელთა შეფასებისა და ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სისტემა. გაუქმდა შიდა (განმსაზღვრელი) შეფასება და კრედიტების დაგროვების სისტემა.

მართალია, შიდა და გარე შეფასების დეფინიცია დარჩა სქემაში, თუმცა შეიცვალა მათი დატვირთვა. **შიდა შეფასებას** მხოლოდ განმავითარებელი ფუნქცია დაეკისრა, რომელსაც სკოლის დირექტორი გამოიყენებდა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაში უკეთესი შედეგების მისაღწევად.

გარე შეფასებას მიენიჭა განმსაზღვრელი ფუნქცია და იმ შემთხვევაში იქნება გამოყენებული, თუ კონკრეტული მასწავლებელი მოინდომებს წინსვლას და სტატუსის ამაღლებას. ამისათვის მასწავლებელმა უნდა ჩააბაროს საგნის გამოცდა, სტატუსის შესაბამისი პროფესიული უნარების გამოცდა და შეფასდეს მისი პრაქტიკული საქმიანობა. ახალი მიდგომის თანახმად, ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა „3600-იან შეფასებას“: არა მხოლოდ გამოცდით ან მასწავლებლის ელსაქალაღდებში (პორტფოლიოში) ატვირთული დოკუმენტების მიხედვით (როგორც ეს აქამდე ხდებოდა), არამედ უშუალოდ პროცესში განხორციელებული აქტივობებითა და მიღწეული შედეგით. თავდაპირველად 3600-იანი შეფასება ექვს სხვადასხვა კომპონენტს ითვალისწინებდა: 1. საგაკვეთილო დაკვირვება და რეფლექსია; 2. კოლეგების (ხარისხის მართვის ჯგუფი) უკუკავშირი; 3. დირექციის უკუკავშირი; 4. მოსწავლეთა შედეგები; 5. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ვიზიტი გაკვეთილებზე დაკვირვებისა და მშობლებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით ამჟამად ამოღებულია, რადგან, ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, ეს კომპონენტი ავტორიზაციის პროცესში იქნება ინტეგრირებული.

მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობის შეფასება

მიმდინარე წლის მარტში მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობის შეფასების ახალი დოკუმენტის შემუშავება დასრულდა, რომლის თანახმადაც მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობა ფასდება მასწავლებლის სტანდარტით განსაზღვრული, მისანიჭებელი სტატუსის შესაბამისი კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებებისა და განხორციელებული საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე. მასწავლებელმა პორტფოლიოში უნდა წარმოადგინოს რეფლექსია და განხორციელებული საქმიანობის მტკიცებულებები, რომლებიც სამი მიმართულებით დაადასტურებს შესაბამისი კომპეტენციების ფლობას: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა; სკოლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება და პროფესიული პასუხისმგებლობა. ამ მიმართულებებით დასადასტურებელი კომპეტენციები განსაზღვრულია სხვადასხვა სტატუსის მოპოვების მსურველთათვის. პორტფოლიოს, სკოლის დირექტორის წარდგინების შემდეგ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დანიშნული ექსპერტთა ჯგუფი აფასებს.

მასწავლებელთა კარიერულ სქემის მართვასთან ერთად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ტრენინგების სახით, ცენტრალიზებულად სთავაზობს მასწავლებლებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს სხვადასხვა საგნობრივ თუ

პროფესიულ კომპეტენციებში. ცენტრის ხელმძღვანელის, ბერიკა შუკაკიძის თქმით, ცენტრი ამჟამად მასწავლებლებს სთავაზობს ყველა საჭიროებაზე მორგებულ ტრენინგ მოდულებს და აქვს შესაძლებლობა, სრულად დააკმაყოფილოს მათი პროფესიული განვითარების საჭიროებები. მისი თქმით, ცენტრს ამჟამად აქვს რესურსი, როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული განვითარების სრული შესაძლებლობები შესთავაზოს საქართველოს ყველა პედაგოგს.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემის გამონკვევები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ზოგადი განათლების ხარისხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია. ამასთან ერთად, მასწავლებელთა დასაქმებასთან, პროფესიულ განვითარებასთან, კარიერულ წინსვლასთან და პროფესიიდან გასვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი განსჯის საგანია. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებული რეფორმები იყოს მწყობრი, ჰქონდეს მკაფიოდ გამოკვეთილი მიზნები და მათი განხორციელების გზები. თუმცა, სწორედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემაში გატარებული რეფორმები ყველაზე ხშირად კრიტიკის საგანი ხდება.

სქემის და მისი კომპონენტების ხშირი ცვლილება. სქემა არაერთხელ შეიცვალა ფუნდამენტურად, ასევე დროდადრო იცვლება მისი შემადგენელი კომპონენტები. როგორც სხვა რეფორმებზე, სქემასთან დაკავშირებითაც ხშირად ისმის კრიტიკა, რომ ცვლილებები ძირითადად ხორციელდება საფუძვლიანი განსჯისა და დაგეგმვის გარეშე. თავისთავად ცვლილება პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა, ახალი ცვლილებები ხშირად იგეგმება წინა ცვლილებების შეფასების გარეშე და არ ითვალისწინებს განვითარების პერსპექტივას. სანაცვლოდ, სქემის ცვლილებები უფრო მეტად იმპულსურ ხასიათს ატარებს და სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური და ხანდახან შემთხვევითი ფაქტორებით არის განპირობებული.

ისევე, როგორც სხვა რეფორმების შემთხვევაში, სქემის შემთხვევაშიც კრიტიკა ეხება პროგრამული ხედვის არარსებობას: უმეტეს შემთხვევაში არ არის განსაზღვრული შედეგები, რომლებზეც უნდა გავიდეს პროგრამა და საბაზო შეფასება (ბეისლაინი). შესაბამისად, ცვლილებები - მცირე თუ მასშტაბური - იგეგმება და ხორციელდება ისე, რომ წინა ვერსიის შედეგები და პროგრესი არ არის გაზომილი.

სქემის ცვლილებები ხშირად უსამართლობის განცდას იწვევს მასწავლებლებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა, მათი აღქმით, ცვლილებები ართულებს კარიერულ წინსვლას.

“ სქემების ცვლილება იწვევს უსამართლობის განცდას პედაგოგებში - წინა სქემით დადიან მაჩვივად გახდნენ მენგოხები, იმ დროს გამხდარი და ახლა გამხდარი მენგოხი ახ უნდა იყოს გაიგივებული

ფოკუს-ჯგუფი სკოლაში

შესაბამობა პედაგოგების საჭიროებებთან. მიუხედავად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობის განცხადებისა, რომ ცენტრი სრულად პასუხობს მასწავლებელთა ტრენინგების საჭიროებებს, ბევრი მასწავლებლის აღქმით, ეს ასე არ არის: ტრენინგების დაგეგმვა ხდება გაუაზრებლად, მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის გარეშე. ფოკუსურ ჯგუფში განხილვისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა საჭიროებების კვლევა და პროფესიული განვითარების დანერგვა სკოლის ბაზაზე. მასწავლებელთა რეალური საჭიროებების დაკმაყოფილებასთან ერთად, ასეთი პროფესიული განვითარების სისტემა ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან უფრო შესაბამისი იქნებოდა.

“ ვახ ახალი სკოლის მოდელის ქოუჩი, სხვებს ვასწავლი მაგნიციის წეხას და მასწავლებელთა სახელში დამბახეს გხეინგზე, მასწავლიან მაგნიციის წეხას-აქეთ მე ვუსწოხებდი გხეინგს, ახავის უკითხავს, ხამდენად მჭიხდება ის, 20 საათი დავკახვე, ახაფეხში მჭიხებოდა.

გამოცდებთან დაკავშირებული პრობლემები. მასწავლებელთა გამოცდები უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განხილული და ამასთანავე მტკივნეული თემაა ზოგადი განათლების სფეროში. მასწავლებლებს ხშირად აქვთ განცდა, რომ გამოცდების შედეგები მიზანმიმართულად, ან უნებლიეთ, მათი დისკრედიტაციისთვის გამოიყენება. მედიაში გამუდმებული საუბარი გამოცდებში მასწავლებელთა ჩაჭრაზე, მათი თქმით, ხელს უწყობს ამ პროფესიის შესახებ საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

“ უდიდესი გამოწვევაა ახასწოხი კომუნიკაცია და ახასწოხად გაშუქებული ინფორმაცია პედაგოგების გამოცდების შესახებ; ბოლოს ჩაგახებული გამოცდები ახ იყო ახვ საგნობრივ კომპეტენციაზე, ახვ სავადლებლო იყო და გაშუქდა ისე, რომ მასწავლებლების უდიდესი ნაწილი ჩაიჭია

“ იმის მაგივრად, კახვად განემახვრათ, ხას გუდისხმობდა ეს გამოცდა, რომ ნაწილმა ვეხ გადაღახა ზღვახი, გამოაცხადეს, რომ მასწავლებლები ჩაიჭინენ, ამის შედეგად ყველა დავცინის, მოსწავდელებიც, მშობლებიც და ჩვენც ალახანაიხი მოტივაცია ალახ გვაქვს, ხაიმე გამოცდაზე გავიდეთ. ამ გამოცდით შუუხაცხყოფა მოგვაყენეს და ისედაც ნაკლებად პხესტიჟური პხოფესია, უფხო ახაპხესტიჟურად აქციეს

ფოკუს-ჯგუფი სკოლაში

გარდა ამისა, ზოგი მასწავლებელი თვლის, რომ პედაგოგების გამოცდები არ ასახავს მათ რეალურ შესაძლებლობებს და ცოდნას. ბევრი ფიქრობს, რომ მეტი დატვირთვა უნდა მოდიოდეს საკლასო სივრცეში პედაგოგის პრაქტიკული საქმიანობის შეფასებაზე, თუმცა პრაქტიკული საქმიანობის ცენტრალიზებულად შეფასებაც ასევე პრობლემურად ესახებათ.

ექსპერტთა აზრით, ხშირად მასწავლებლები ისე გადიან გამოცდაზე, რომ არ იციან, რა შედეგი შეიძლება ამას მოჰყვეს და ეს, რა თქმა უნდა, პრობლემაა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის ცენტრალიზებული ხასიათი. სისტემის ცენტრალიზება, ექსპერტთა და დარგის პროფესიონალთა მოსაზრებით, პრობლემურია როგორც კარიერული განვითარების სქემისთვის, ასევე ტრენინგებისთვის. კარიერული განვითარების სქემის ფარგლებში ცენტრალიზებულად დგინდება ყველა მასწავლებლისთვის მისანიჭებელი სტატუსი და შესაბამისად, მათი ხელფასზე დანამატი. ამასთან, არსებული სქემა (და მისი წინამორბედი სქემები) არ ითვალისწინებს სკოლების თავისებურებებს ზომის, მდებარეობის და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

“ წახმოუდგენედია, 60 ათასი პედაგოგისთვის ცენტრალიზებულად აწახმოო საქმიანობის შეფასება

ინტერვიუ განათლების ექსპერტთან

მასწავლებელთა პროფესიულმა განვითარებამ, კერძოდ კი მოქმედი მასწავლებლებისთვის შეთავაზებული ტრენინგების სისტემამ, რომელიც 2010 წლამდე დეცენტრალიზებული იყო, 2010-2012 წლებში საგრძნობი ცენტრალიზაცია განიცადა. 2014-2018 წლებში ცენტრი აქტიურად მუშაობდა სერვისების დეცენტრალიზაციაზე. ცენტრში მოქმედებდა სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა გარე პროვაიდერებისათვის (უნივერსიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები, საგნობრივი ასოციაციები და სხვა) საგრანტო სქემების შეთავაზებას და მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების სხვადასხვა სერვისების შემუშავება-განხორციელებას. დეცენტრალიზაცია იყო ცენტრის 2016-2019 წწ სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. გაიცემოდა გრანტები და არსებობდა პროვაიდერების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა. 2019 წლიდან პროფესიული განვითარების სერვისები კვლავ ცენტრალიზებულად ხორციელდება.

მას შემდეგ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მასწავლებელთა სახლის ბაზაზე სთავაზობს ტრენინგების ფართო არჩევანს საქართველოს ყველა მასწავლებელს. ცენტრის დირექტორის, ბერიკა შუკაკიძის განცხადებით, ცენტრს აქვს შესაძლებლობა, ადამიანური რესურსი და მოქნილობა იმისათვის, რომ ყველა მასწავლებლის მოთხოვნა დააკმაყოფილოს. თუმცა, დარგის ექსპერტები ამ მოსაზრებას არ იზიარებენ. უფრო მეტიც, განათლებისა და მეცნიერების ახალი სტრატეგია ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ტრენინგების სისტემის დეცენტრალიზაციას: „განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელს შეუწყობს პროფესიული ასოციაციების და ორგანიზაციების, აკადემიური თუ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას სკოლის დირექტორთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და გადამზადების პროგრამებში, მათ შორის ქოუჩინგის და მონიტორინგის პროგრამებში“²¹.

ნაცვლად ცენტრალიზებული პროფესიული განვითარების და ტრენინგების მიწოდებისა, ექსპერტთა და მასწავლებელთა მოსაზრებით, უმჯობესი იქნება, სკოლის ბაზაზე დაიგეგმოს პროფესიული განვითარება. ეს, ასევე, შესაბამისობაში იქნება ახალი სკოლის მოდელთან და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესთან.

“ სკოლის ბაზაზე ხომ გაძლიერდეს პროფესიული განვითარება, უკეთესი იქნება-სკოლაში ყველაზე კახგად იცის, პედაგოგს ხა სჭიხდება; უბრალოდ ამას დამატებითი ადამიანური რესურსი დასჭიხდება

ფოკუს-ჯგუფი სკოლაში

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემის კოორდინაცია რეფორმის სხვა მიმართულებებთან

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული სისტემის სხვადასხვა უწყებებთან და შესაბამისად, საჭიროა ამ უწყებებთან ინტენსიური თანამშრომლობა. ცენტრის დირექტორის, ბერიკა შუკაკიძის თქმით, ცენტრი რეგულარულად თანამშრომლობს გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოსთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან. ეს თანამშრომლობა ძირითადად იმ სარეფორმო მიმართულებების ფარგლებში ხდება, რომელშიც ეს უწყებები ერთად არიან ჩართული. მაგალითად, გამოცდებისა და შეფასების ცენტრი ამზადებს და ატარებს მასწავლებელთა გამოცდებს პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში. რაც შეეხება სხვადასხვა სარეფორმო მიმართულებებს შორის კოორდინირებას, აქ საქმე უფრო კომპლექსურადაა.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად, მნიშვნელოვანი როგორც პროფესიული განვითარების სერვისები, ისე პროდუქტები, ორიენტირებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაზე, აქტიურ სწავლებაზე, ითვალისწინებდეს მასწავლებელთა შორის თანამშრომლობას, იყენებდეს ეფექტიანი პრაქტიკის მოდელებს, უზრუნველყოფდეს ქოუჩინგსა და საექსპერტო მხარდაჭერას, სთავაზობდეს პროცესში უკუკავშირსა და რეფლექსიას. თუმცა, კვლევის პროცესში გამოვლინდა მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესს შორის კოორდინაციის ნაკლებობა როგორც კონცეპტუალურ დონეზე, ასევე განხორციელების მხრივ.

ფორმალურად ორი უწყება მჭიდროდ თანამშრომლობს. უფრო მეტიც, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ჩართული ქოუჩები ამჟამად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ არიან დაქირავებული. ეს შესაძლოა ჰარმონიული თანამშრომლობის მაგალითად ჩაითვალოს, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ ეს უბრალოდ

²¹ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგია, 2022

ტექნიკურად უფრო მოსახერხებელია, რადგან საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მეტი თავისუფლება და მოქნილობა აქვთ პერსონალის დაქირავების საკითხებში.

რაც შეეხება კონცეპტუალურ თანხვედრას, ესგ-ის გუნდი მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მოიაზრებს როგორც სწავლა-სწავლების განუყოფელ ნაწილს.

ესგ-ის სამმართველოში აცხადებენ, რომ მათ არა აქვთ დეტალური ინფორმაცია იმ ტრენინგების შინაარსის შესახებ, რომელთაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სთავაზობს პედაგოგებს. ეს თავისთავად ამ უწყებებს შორის არასათანადო თანამშრომლობაზე მიუთითებს.

კვლევის პროცესში გამოკითხული ფოკუსური ჯგუფის მონაწილე მასწავლებლებიც აღნიშნავენ, რომ მათი აღქმით, რეფორმების პროცესში მონაწილე მხარეები ერთმანეთს არ ესაუბრებიან. ფოკუსური ჯგუფების მონაწილე მასწავლებლებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება მესამე თაობის ესგ-ის დანერგვასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკას შორის შეუსაბამობაზე.

ეროვნული შეფასების წარმოება

პროექტი „შეფასება განვითარებისათვის“ და მისი მიზნები

2019 წელს გამოცდებისა და შეფასების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო ახალი პროექტი - „შეფასება განვითარებისათვის“. პროექტის მიზანია ელექტრონული პლატფორმის დახმარებით მეოთხე და მეექვსეკლასელების მიღწევების შეფასება სასწავლო წლის ბოლოს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წიგნიერება) და მათემატიკაში (რაოდენობრივი წიგნიერება). მომავალში ამ პროცესში მეთექვსეკლასელების ჩართვაც იგეგმება.

საგულისხმოა, რომ ეროვნული შეფასებები შერჩევის საფუძველზე საქართველოში 2004 წლიდან ტარდება. ასევე შერჩევის საფუძველზე ტარდება საერთაშორისო შეფასებებიც. თუმცა ამ შეფასებებს სრულიად სხვა მიზნები აქვს: ისინი გვაჩვენებენ ტენდენციებს ეროვნულ დონეზე; ასევე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, გვაძლევენ საშუალებას, შევადაროთ ერთმანეთს მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევები სხვადასხვა დემოგრაფიული თუ სოციალურ-ეკონომიკური მარჯვენების მიხედვით; საერთაშორისო შეფასებები ასევე საშუალებას გვაძლევს, ქართველი მოსწავლეების შედეგები სხვა ქვეყნების მოსწავლეთა შედეგებს შევადაროთ. თუმცა, ასეთი ტიპის შეფასება არ აძლევს საშუალებას ინდივიდუალურ სკოლას, დირექტორს თუ ამ სკოლის მასწავლებლებს, რომ გააანალიზონ საკუთარი სკოლის შედეგები. ასეთი შეფასებების შედეგები ძირითადად ეროვნული პოლიტიკის გამტარებისთვის არის განკუთვნილი და ნაკლებად არის პრაქტიკული და სასარგებლო ცალკეული სკოლებისთვის.

ამისგან განსხვავებით, პროექტი „შეფასება განვითარებისათვის“ მიზნად ისახავს, შესაძლებლობა მისცეს სკოლას, დააკვირდეს სწავლა-სწავლების ტენდენციებს როგორც ცალკეული კლასის, ასევე სკოლის დონეზე. გარდა ამისა, მოსწავლეებს და მშობლებსაც აქვთ საშუალება, თვალი ადევნონ საკუთარ საგანმანათლებლო პროგრესს. შესაბამისად, იქმნება ანგარიშები მოსწავლისა და მშობლისათვის ინდივიდუალური მიღწევის შესახებ, მასწავლებლისათვის თითოეული მოსწავლისა და საკუთარი კლასის მიღწევის შესახებ, და ასევე სკოლის დირექტორისთვის მოსწავლეების, კლასებისა და მთლიანად სკოლის მიღწევების შესახებ. მთავარი მიზანი, როგორც პროექტის სახელწოდებიდან ჩანს, არის განვითარება: მოსწავლეს, მასწავლებელს და დირექტორს ეძლევა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არის მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და სად არის საჭირო ინტერვენცია. კონკრეტულად, შედეგების ანალიზი საშუალებას მისცემს:

- ▶ მასწავლებლებს - დააკვირდნენ ამა თუ იმ მოსწავლის განვითარებას და გაიგონ, რა პრობლემები აქვს მას სწავლის დროს; ასევე, დააკვირდნენ კლასში გამოკვეთილ ტენდენციებს; დაგეგმონ შესაბამისი ინტერვენციები როგორც კონკრეტული მოსწავლის, ასევე საკლასო დონეზე;
- ▶ მშობლებს - დააკვირდნენ შვილის პროგრესს და ჩართულნი იყვნენ სასწავლო პროცესში;
- ▶ სკოლებს - შეფასებებისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დაამუშაონ და შეადგინონ სკოლის განვითარების სტრატეგია.²²

²² <https://naec.ge/#/ge/post/2254>

მსგავსი ტიპის შეფასებას თავად სკოლების მოთხოვნის საფუძველზე გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი ადრე ახორციელებდა ინდივიდუალური სკოლებისთვის და მასში მონაწილე დირექტორები ამ პროცესით და მისი შედეგებით კმაყოფილებას გამოთქვამენ²³, თუმცა ეროვნული მასშტაბი, როცა ამ პროცესმა ყველა სკოლა უნდა მოიცვას, ტექნიკურადაც და შინაარსობრივადაც სრულიად ახალ დატვირთვას სძენს ამ მიდგომას როგორც შესაძლებლობების, ასევე რისკების თვალსაზრისით.

პროექტის განხორციელების პროცესი და ეტაპები

პროექტის განხორციელება 2019 წელს დაიწყო მსოფლიო ბანკის პროექტის მხარდაჭერით. თავიდანვე გადაწყდა, რომ პროექტი იქნებოდა სრულად ელექტრონული სახით და შესაბამისად, შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა, რომელიც ამჟამად საცდელ რეჟიმში მუშაობს.

გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის გუნდი პარალელურად მუშაობს შეფასებისათვის ტესტური საკითხების შემუშავებაზე. შეფასებაში შედის როგორც ღია, ასევე დახურული კითხვები. ღია კითხვებს გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ექსპერტები შეამოწმებენ. როგორც გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში აღნიშნავენ, შეფასებისთვის საკითხების შედგენა ცენტრისთვის გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ცენტრს დიაგნოსტიკური ტესტების შედგენის დიდი გამოცდილება არა აქვს. თუმცა, ცენტრის დირექტორისა და პროექტის ხელმძღვანელის შეფასებით, როგორც ელექტრონული პლატფორმის შექმნისა და დახვეწის, ასევე ტესტური დავალებების შექმნის პროცესი წარმატებულად მიმდინარეობს.

2020 წლიდან საცდელ რეჟიმში ტარდება ტესტების და ელექტრონული პლატფორმის პილოტირება სკოლებში. 2020 წელს 60 სკოლა ჩაერთო პილოტირებაში, ამჟამად კი - 2023 წლის იანვრის მდგომარეობით - 500-მა სკოლამ მიიღო უკვე მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე პროექტში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საპილოტე რეჟიმში პროექტში მონაწილე სკოლების დირექტორთა შეფასებით, ეს პროცესი სკოლებისთვის - დირექციისთვის, მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის ძალიან სასარგებლო და საჭიროა. ამის შესახებ დირექტორებმა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 20 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ კონფერენციაზე განაცხადეს.

შეფასების რისკები

დიაგნოსტიკური შეფასების პროექტის დანერგვას თან ახლავს გარკვეული რისკები. ამჟამად, პროექტის მთავარ გამოწვევას შეფასების შედეგების სათანადოდ გამოყენება წარმოადგენს.. პროექტის ხელმძღვანელის, ეკა ჯელაძის განცხადებით, სწორედ შეფასების ჩატარების შემდეგ იწყება მთავარი ეტაპი - შედეგების პრაქტიკაში გამოყენება²⁴. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, შედეგები მართლაც განვითარებისთვის იქნას გამოყენებული პროექტის მიზნების შესაბამისად.

კლასის დონეზე არსებობს რისკი, რომ მასწავლებლები დიაგნოსტიკური შეფასების შედეგებს გამოიყენებენ საკლასო შეფასების საფუძველად. შეფასებაში მონაწილე ბავშვებსა და მშობლებს ცენტრი არწმუნებს, რომ შეფასების შედეგები ნიშნებზე გავლენას არ იქონიებს. ასევე, შეფასების შედეგები მასწავლებელთა წინააღმდეგ სკოლის დონეზე არ უნდა იქნას გამოყენებული...

²³ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გამართული დისკუსიიდან

²⁴ <https://www.youtube.com/watch?v=j7LShGd8Hho>

ყველაზე დიდ რისკს კი სამინისტროს მხრიდან დირექტორების და მთლიანად სკოლის წინააღმდეგ დიაგნოსტიკური შეფასების შედეგების გამოყენების საშიშროებანარმოადგენს. სკოლების დირექტორებს და მთლიანად სასკოლო საზოგადოებას ზოგადი განათლების უახლესი ისტორიიდან ახსოვთ შემთხვევები, როცა მოსწავლეთა მიღწევები გამოიყენეს დირექტორების წინააღმდეგ. შესაბამისად, ადვილი არ იქნება სკოლების დარწმუნება იმაში, რომ შედეგები დასჯის მიზნით არ გამოიყენება.

უფრო მეტიც, სოფო გორგოძის თქმით, შედეგების წახალისების მიზნით გამოყენებაც კი რისკებთან არის დაკავშირებული. დიაგნოსტიკური შეფასება ცენტრალიზებულად ჩატარდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ. თუმცა ადმინისტრირება მაინც სკოლის დონეზე მოხდება და სკოლას ექნება იმის შესაძლებლობა, მონდომების შემთხვევაში, გარკვეულ დონეზე შედეგებზე გავლენა იქონიოს: მაგალითად, ტესტირების ჩატარების დღეს სთხოვოს შედარებით სუსტ მოსწავლეებს, არ მოვიდნენ სკოლაში, რაც საშუალო ქულას ასწევს.

სოფო გორგოძის თქმით, ამ რისკების თავიდან ასაცილებლად რამდენიმე მექანიზმი განიხილება. პირველ რიგში, შესაძლოა, სამინისტროს საერთოდ არ ჰქონდეს წვდომა ცალკეული სკოლის შედეგებზე და მხოლოდ სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით აგრეგირებულ მონაცემებს ხედავდეს. თუმცა, მეორე მხრივ, თუკი მიღწევების გაუმჯობესებაზე და განვითარებაზეა აქცენტი, მაშინ გასაგებია, რომ სამინისტროსაც უნდა, იცოდეს, თითოეული სკოლა რას აკეთებს.

ასევე შესაძლებელია წახალისების მექანიზმის ამოქმედება, მაგრამ არა კარგი მიღწევების მქონე სკოლების, არამედ პირიქით, იმ სკოლების, რომლებიც ვერ აჩვენებენ კარგ შედეგებს. ამ გზით სკოლებს ექნებათ მოტივაცია, არ დამალონ შესაძლო ცუდი შედეგები.

მესამე შესაძლო მექანიზმი არის მშობლებისა და სასკოლო თემის გაძლიერება და გააქტიურება იმისათვის, რომ მათ მოითხოვონ სკოლისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმა შედეგების გასაუმჯობესებლად.

და ბოლოს, გადამწყვეტი ფაქტორი იქნება სწორი საინფორმაციო კამპანიის წარმოება კომუნიკაციის პროცესში ჩართულ ყველა მხარესთან.

დიაგნოსტიკური შეფასების კოორდინაცია სხვა სარეფორმო მიმართულებებთან

მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასების დანერგვა მრავალმხრივი და კომპლექსური საკითხია, რომელსაც წარმატებით გადასაჭრელად ბევრი სხვადასხვა მხარის აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა სჭირდება. ცენტრის დირექტორის, სოფო გორგოძის განცხადებით, სხვა უწყებებთან თანამშრომლობა და მათი ჩართულობა პროცესში ორი მიმართულებით არის მნიშვნელოვანი: 1. ტესტების შინაარსი და 2. შეფასების შედეგების გამოყენება.

რაც შეეხება ტესტების შეფასებას, პირველ რიგში, ამ პროცესს მჭიდრო ბმები აქვს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მის დანერგვასთან. პროექტის ხელმძღვანელის, ეკა ჯელაძის განცხადებით, ტესტური დავალებები მთლიანად ეფუძნება ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას და სწორედ გეგმით გათვალისწინებული შედეგების შეფასებას ემსახურება. სოფო გორგოძე ინტერვიუში ამბობს, რომ ტესტური დავალებების შემუშავებისა და მათი პილოტირების პროცესში ცენტრი რეგულარულად უგზავნის ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს მასალას კომენტარებისა და უკუკავშირისათვის.

უფრო რთული საკითხია შეფასების შედეგების სათანადოდ გამოყენება. შედეგების გამოყენება შესაძლოა ორ დონეზე განვიხილოთ.

- 1.** სწავლების პროცესში შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამისათვის აუცილებელია სასწავლო გეგმების სამმართველოსთან კოორდინაცია, რათა სასწავლო გეგმების დანერგვის პროცესში გათვალისწინებული იყოს

ეს კომპონენტი. ამჟამად ეს კოორდინაცია არ არის აქტიური: გამოცდების ცენტრი და სასწავლო გეგმების სამმართველო ერთობლივად არ მუშაობენ ამ საკითხზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დიაგნოსტიკური შეფასების განვითარება ჯერ კიდევ საპილოტე ეტაპზეა, არის საკმაოდ ბევრი დრო იმისათვის, რომ აქტიური თანამშრომლობით პროექტმა დასახულ მიზნებს სრულფასოვნად მიაღწიოს.

2. შეფასების შედეგების შესაძლო გამოყენება მასწავლებელთა და/ან დირექტორთა დასჯის მიზნით. როგორც ზევით განვიხილეთ, ყველაზე დიდ რისკს შეფასების შედეგების დასჯის მიზნით გამოყენება წარმოადგენს. გამოცდების ცენტრი სცენარის ასეთი განვითარების თავიდან ასაცილებლად რამდენიმე მიდგომას განიხილავს, როგორც ზემოთ აღვწერეთ. თუმცა ნებისმიერი ამ სცენარის, ისევე როგორც სხვა შესაძლო მიდგომების განხორციელება, ცდება მხოლოდ გამოცდების ეროვნული ცენტრის კომპეტენციას. შესაბამისად, აუცილებელია ამ საკითხზე აქტიური უწყებათაშორისი თანამშრომლობა.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების საქმიანობა

გარდა სხვადასხვა დონეზე არსებული ეროვნული უწყებებისა, საქართველოს ზოგად განათლებაში მიმდინარე პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსხვილი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები. 2000-იანი წლების დასაწყისიდან თითქმის ყველა მნიშვნელოვანი რეფორმა სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით გატარდა. თუმცა 2004 წლიდან გატარებულ რეფორმებში დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციით და სამინისტროს ცენტრალური ხედვის ფარგლებში ხორციელდებოდა. ამას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ ბევრი მნიშვნელოვანი მიმართულებით ძირფესვიანი ცვლილებები ხორციელდებოდა, როგორც იყო, მაგალითად, სკოლების დაფინანსების ცენტრალიზება და მუნიციპალიტეტების რგოლის ამოგდება ზოგადი განათლების მართვიდან, სკოლების თვითმმართველობის განვითარება, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების შექმნა, ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნა, უნივერსიტეტში მიღების სისტემის გარდაქმნა. რაც მთავარია, ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ჩამოყალიბებული უწყებები, რომლებიც ამ პროექტებს განახორციელებდა.

ამჟამად, დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები, ერთი მხრივ, ნაკლებ კოორდინაციაშია ერთმანეთთან, რაც, ზოგ შემთხვევაში, საპროექტო მიმართულებების გადაფარვაში გამოიხატება. ამასთან, ზოგჯერ არასაკმარისია სამინისტროსა და მის უწყებებთან კოორდინაცია. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ 2000-იანი წლების დასაწყისისგან განსხვავებით, სამინისტროს სსიპ-ები ახლა უკვე ჩამოყალიბებულია უწყებების საკუთარი იდეოლოგიური, ოპერაციული და პოლიტიკური დღის წესრიგით. გარდა ამისა, როცა სამინისტროს ხელმძღვანელობა იცვლება, წინა ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება უფრო რთულია. ზოგ შემთხვევაში კი, როცა ეროვნულ უწყებებს გამოხატული ინტერესი აქვთ ამა თუ იმ ცვლილების განხორციელების, შესაძლოა, დონორების მიერ ამ ცვლილებების განხორციელების ტემპი, ბიუროკრატიული პროცესები ან მიდგომები არ შეესაბამებოდეს მათ გეგმებს. ზოგჯერ პირიქით, დონორებთან მოლაპარაკებების პროცესში სტრატეგიული ხედვისა და გეგმის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს ნაკლები საშუალება აქვს, არგუმენტირებულად მოახდინოს სისტემის ინტერესების დაცვა და შესაბამისად, დონორები საკუთარი ინტერესებით შედგენილ დღის წესრიგს სთავაზობენ.

ამჟამად, დონორების დაფინანსებით რამდენიმე დიდი პროექტი მიმდინარეობს და დაგეგმილია ამ ნაშრომში მიმოხილული რეფორმების მიმართულებით. აშშ-ის განვითარების სააგენტო 2020 წლიდან ახორციელებს დაწყებითი განათლების საფეხურზე ყველა სკოლაში წიგნიერების, მათემატიკური აზროვნების, პრობლემების გადაწყვეტისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარების პროექტს. პროექტი ასევე გულისხმობს საუნივერსიტეტო დონეზე ისეთი პროგრამების ხელშეწყობას, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. აშშ-ის განვითარების სააგენტო ახლო მომავალში იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას, რომლის ერთ-ერთ კომპონენტსაც უნივერსიტეტებთან მასწავლებელთა მომზადების და პროფესიული განვითარების პროგრამებზე მუშაობა შეადგენს. ეს პროექტები პირდაპირ კავშირშია მესამე თაობის სასწავლო გეგმის დანერგვასთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული განვითარების სისტემასთან. თუმცა, სასწავლო გეგმის დანერგვის შემთხვევაში ძირითადად პროექტი დანერგვის პროცესის პარალელურად მიმდინარეობს. მასწავლებელთა მომზადების და პროფესიული განვითარების პროცესს რაც შეეხება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობის რწმენით, უნივერსიტეტების ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

არაეფექტიანი იქნება, რადგან მათ არ ჰყავთ სათანადო ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსი.

უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკაზე მუშაობის კომპონენტს მოიცავს მსოფლიო ბანკის მიმდინარე პროექტიც, რომელიც 2019 წლიდან მიმდინარეობს და რომლის ფარგლებშიც მთელი რიგი ანალიტიკური დოკუმენტები მომზადდა. პროექტის ხელმძღვანელის განცხადებით, სამინისტრო არ იყო თავდაპირველად კარგად მომზადებული ამ პროექტისთვის, ხელმძღვანელობას არ ჰქონდა გააზრებული პროექტის შინაარსი. შემდგომ, სამინისტროში მენეჯმენტის ცვლილებასთან ერთად, პროექტის წარმომადგენლებს ხელახლა მოუწიათ მუშაობა, რადგან ახალ მენეჯმენტს პროექტის მიმართ დაბალი მიმღებლობა ჰქონდა.

მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ეროვნული შეფასების მხარდაჭერაც. თუმცა, ზემოთ აღწერილი მიზეზებით პროექტის დიზაინის ფაზის გაგრძელების გამო, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, მხარდაჭერა დაგვიანდა.

დონორების დაფინანსებით მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელებაში შეფერხებები და გადაფარვები კიდევ ერთხელ მიუთითებს სხვადასხვა უწყებებსა და პროექტების ხელმძღვანელ გუნდებს შორის უფრო მჭიდრო კოორდინაციის საჭიროებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად არსებობს ასეთი კოორდინაციის მექანიზმები, მაგალითად, იგივე მსოფლიო ბანკის მიმდინარე პროექტის ფარგლებში, რეალობაში ხშირად ეს მექანიზმები არ მუშაობს სათანადოდ.

IV ტავი:

**ერთიანი განათლების
მიდგომა და ზოგადი
განათლების
რეფორმები
საქართველოში**

საქართველოში არ არსებობს ზოგადი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად რეფორმების გატარების დეკლარირებული საერთო ხედვა. საჯარო პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება კომპლექსური საკითხია. ერთი კონკრეტული მიმართულებით დაგეგმილი რეფორმა ვერ იქნება განყენებული და ვერ განხორციელდება იზოლირებულად. იმისათვის, რომ სხვადასხვა სფეროებში მიმდინარე ცვლილებები, ჰარმონიაში იყოს ერთმანეთთან, ისინი ერთიან მიზნებს უნდა ემსახურებოდეს და საერთო პრინციპებიდან ამოდიოდეს. სწორედ ასეთი მიზნების მისაღწევი გზების და დეკლარირებული ერთიანი პრინციპების არარსებობა უშლის ხელს ზოგადი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად მიმდინარე რეფორმების შედეგიანობას. სხვადასხვა დონეზე არსებული საკანონმდებლო დოკუმენტები - სახელმწიფო კონსტიტუცია, კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები - აღწერს, თუ რა მიზნებს ემსახურება ზოგადი განათლება საქართველოში, თუ როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს სისტემამ და ა.შ. თუმცა, არ არის განწერილი ის პრინციპები, რომლებიც რეფორმებს შეიძლება საფუძვლად დაედოს.

უფრო მეტიც, განათლების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, რომლებიც სხვადასხვა დროს იქმნება, ძირითადად უკვე არსებული რეფორმების და ინიციატივების ფორმალიზების ინსტრუმენტია.

ყველა სარეფორმო მიმართულებას სხვადასხვა საფუძველი და მოტივაცია აქვს. ამ ნაშრომში მიმოხილული რეფორმები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა პოლიტიკური და ადმინისტრაციული ჯგუფების ძალისხმევით დაიწყო და მიმდინარეობს. ყველა მათგანს საფუძვლად ედო გარკვეული პრინციპები, თუმცა ეს პრინციპები არ ეფუძნებოდა ერთიან ხედვას. თუკი თითოეული რეფორმის შემთხვევაში დავსვამთ კითხვას: რისთვის ჩატარდა/ტარდება ეს რეფორმა/ცვლილება? ამ კითხვაზე პასუხი შესაძლოა მოიცავდეს ზოგად განცხადებას, რომ რეფორმა ტარდება იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო მიღწევები, რისთვისაც საჭიროა სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მასწავლებელთა კვალიფიკაციებისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესებას, უკეთეს სასწავლო პროგრამებს, მოსწავლეთა შეფასების გაუმჯობესებას, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების ამუშავებას. თავად ამ ქვე-მიზნების მისაღწევადაც მრავალი სხვადასხვა გზა არსებობს. ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებებს შორის ისეთი თანამშრომლობა, რომ ეს გზები ერთმანეთთან შეთანხმებული და ჰარმონიზებული იყოს.

„ახალი სკოლის მოდელი“ იყო გარკვეულწილად საერთო პრინციპების დამკვიდრების მცდელობა. როგორც შესავალში მიმოვიხილეთ, ერთიანი სკოლის მიდგომა გულისხმობს სხვადასხვა სფეროში ფრაგმენტული რეფორმების ჩანაცვლებას ერთიანი კომპლექსური მიდგომით, რომელიც თავის თავში მოიცავს ამ სხვადასხვა სფეროს რეფორმებს, რომლებიც ერთიან ხედვას ეფუძნება. ახალი სკოლის მოდელი, სახელწოდების გათვალისწინებით, სწორედ ერთიანი სკოლის მიდგომის ანალოგად შეიძლებოდა აღგვექვა. თავდაპირველად, ეს მოდელი ჩაფიქრებული იყო კიდევაც, როგორც სკოლის ერთიანი განვითარების ინსტრუმენტი, რომელსაც სკოლის კულტურაც უნდა შეეცვალა. თუმცა, ერთი მხრივ, ეს პრინციპები არ იყო სათანადოდ გამყარებული თეორიული საფუძვლებით და არსებული გამოცდილებით; ამასთან, არ იყო წერილობითი სახით ფორმალიზებული და დეკლარირებული. მეორე მხრივ, წლების განმავლობაში ამ მოდელს ჩამოშორდა სხვა კომპონენტები და ვინროდ სასწავლო გეგმის დანერგვაზე ორიენტირებული გახდა. სასკოლო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აღქმაში კი კიდევ უფრო ვინროდ აღიქმება და კომპლექსური დავალებების შექმნა-შესრულებას უტოლდება. რეალურად ერთიანი მიდგომით სკოლის გარდასაქმნელად საჭირო იქნებოდა სკოლის მართვის სისტემის გარდაქმნაც და ეს, პირველ რიგში, დირექტორებს შეეხება. დირექტორის ახალი სტანდარტი მხოლოდ 2022 წელს იქნა მიღებული და დირექტორების კონკურსი და შერჩევა 2023 წელს დაიწყო. ანუ ეს პროცესი, რომელიც მხარდამხარ უნდა მიჰყვებოდეს ახალი სასწავლო გეგმის დანერგვას, თუკი მას განვიხილავთ სკოლის გარდაქმნის მცდელობად, საგრძნობლად ჩამორჩა პროცესს. თუმცა,

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დირექტორის სტანდარტი ახლა თანხვედრაშია ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

მესამე თაობის სასწავლო გეგმის დანერგვისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სისტემები პრინციპების დონეზე არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში. 2018 წელს, როცა ახალი სკოლის მოდელის იდეა გაჩნდა (უფრო ზუსტად, საჯარო გახდა), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სისტემა უკვე ჩამოყალიბებული იყო, თუმცა, მუდმივ ცვლილებებს განიცდიდა. ახალი სკოლის მოდელის იდეა არ შემუშავებულა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების იმ ეტაპზე არსებულ სისტემასთან ჰარმონიაში. იმდროინდელი სქემა, მართალია, მოიცავდა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების კომპონენტს კრედიტების მინიჭების გზით, თუმცა ეს არ იყო თანხვედრაში ახალი სკოლის მოდელთან და, ექსპერტებისა და მასწავლებლების შეფასებით, მასწავლებელთა საქმიანობის რეალურად შეფასებასთან საერთო არ ჰქონდა. პროფესიული განვითარების სისტემა სრულად ცენტრალიზებული იყო. ამ ეტაპზე შესაძლებელი იყო, შექმნილიყო სკოლის ბაზაზე სასწავლო გეგმების დანერგვისა და მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და შედეგად, მესამე თაობის სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი გარკვეულწილად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. ის ფაქტი, რომ სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართული ქოუჩები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ არიან დაქირავებული, ნაკლებად მიუთითებს ორი მიმართულების თანხვედრაზე და უფრო ადმინისტრაციული მიზეზებით არის განპირობებული.

დიაგრამა 2

2010	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის ცენტრალიზება			
2011	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის პირველი სქემა	კერძო სკოლების ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესი		
2012				
2013				
2014				
2015				
2016	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის ახალი სქემა	თავდაპირველი გეგმით სკოლების ავტორიზაციის დასრულების ვადა		
2017				
2018			ახალი სკოლის მოდელის შემუშავება; პილოტირება 150-ე სკოლაში	დანყებით საფეხურზე მოსწავლეთა გარე შეფასების იდეა
2019			დანერგვაში ჩაერთო 62 სკოლა	
2020	ფუნდამენტური ცვლილებები სქემაში	სკოლების ავტორიზაციის	დანერგვაში ჩაერთო 100 სკოლა	საპილოტე სისტემის შექმნა
2021			დანერგვაში ჩაერთო 150 სკოლა	
2022		ავტორიზაციის ახალი სტანდარტი; დიაგნოსტიკური თვითშეფასება	დანერგვაში ჩაერთო 282 სკოლა	პილოტირება
2023			ყველა სკოლა	

სკოლების ავტორიზაციის პროცესსა და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას შორის თანხვედრა მეტწილად პირად ურთიერთობებზეა დაფუძნებული. სკოლების ავტორიზაციაზე საუბარი 2010 წელს დაიწყო, თუმცა, საჯარო სკოლებისთვის ეს პროცესი მრავალჯერ გადაიდო. როგორც ამ ნაშრომის წინა თავებშია განხილული, სასწავლო გეგმების დანერგვასა და ავტორიზაციის პროცესს შორის სინერგია ამ ეტაპზე ძალიან თვალსაჩინოა. თუმცა, რამდენიმე საკითხს უნდა მიექცეს ყურადღება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი პროცესიც ერთად არ დაგეგმილა და ერთი საერთო ხედვის წიაღიდან არ აღმოცენებულა, არამედ მერე, თანდათანობით დაახლოვდა. გარდა ამისა, ამ დაახლოების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო პირადი ურთიერთობები ამ მიმართულებებით გადანყვეტილებების მიმღებ პირებს შორის. ეს ქმნის საშიშროებას, რომ მათი შეცვლის შემთხვევაში ეს სინერგია შეიძლება გაქრეს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის პროექტის ავტორთა აღიარებით, იმისათვის, რომ პროექტი წარმატებული იყოს, აუცილებელია სკოლების ავტონომიის გაფართოება და სკოლების დაფინანსების წესის ცვლილება. ავტორიზაციის დაწყება უკვე 2023 წელს იგეგმება, დანარჩენი ორი რეფორმის გეგმა კი ჯერ-ჯერობით არ არის განერილი.

მოსწავლეთა სტანდარტიზებული გარე შეფასება ამჟამად არ არის ინტეგრირებული სხვა მიმართულებებში. დაწყებით საფეხურებზე მოსწავლეთა გარე შეფასების იდეა კი 2018 წელს გაჩნდა და მასზე მუშაობაც ამ დროს დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტზე მუშაობა და „ახალი სკოლის მოდელის“ დაწყება დროში ერთმანეთს ემთხვევა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ორი მიმართულება ერთად, ან ერთიანი ხედვის გათვალისწინებით დაიგეგმა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტიპის შეფასება, მისი კონცეფციის გათვალისწინებით (შეფასება განვითარებისთვის), პირველ რიგში, მასწავლებლებმა უნდა გამოიყენონ სწავლების პროცესში, ჯერ-ჯერობით არ არსებობს ერთიანი ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ეს ინტეგრირდეს სასწავლო პროცესში, ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში, და როგორ უნდა იქნას თავიდან აცილებული გარე შეფასებასთან ასოცირებული სერიოზული რისკები, რომელთა შესახებაც წინა თავშია საუბარი. ასევე, არ არის გარკვეული, რამდენად იქნება გათვალისწინებული მოსწავლეთა გარე შეფასება ავტორიზაციის პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა გარე შეფასებასა და ავტორიზაციას, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან განსხვავებული შინაარსი და მასშტაბი აქვთ, ერთნაირი რისკები აქვთ შედეგების გამოყენების თვალსაზრისით. შესაბამისად, შესაძლოა, სასარგებლო იყოს ერთნაირი მიდგომის გამოყენება ამ რისკების თავიდან ასაცილებლად.

გადაწყვეტილებების მიღების ტენდენციები რეფორმის პროცესში

შესაძლოა ითქვას, რომ განათლების სისტემაში გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღების მწყობრი სისტემა არ არსებობს. ბევრი გადაწყვეტილება მიიღება დახურულ რეჟიმში, არატრანსპარენტულად. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ზოგად განათლებაში ყველა მიმართულებით არაერთი რეფორმა გატარდა, არაერთი რადიკალური გადაწყვეტილება იქნა მიღებული. თუკი, უმეტეს შემთხვევაში, რეფორმები და გადაწყვეტილებები არ ეფუძნება საერთო ხედვას, მაშინ რა განაპირობებს კონკრეტული რეფორმის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას? შეგვიძლია, რამდენიმე ტენდენცია გამოვყოთ საქართველოში განხორციელებული რეფორმების და ცვლილებების მაგალითზე.

- ▶ **იდეოლოგიური გადაწყვეტილებები.** მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ერთიანი ხედვა არ არსებობდეს, კონკრეტულ შემთხვევებში კონკრეტულ ადამიანებს/ადამიანთა ჯგუფებს აქვთ გარკვეული შეხედულებები და შესაძლებლობების ფანჯრის გაჩენის შემთხვევაში ეს იდეები სისრულეში მოდის.
- ▶ **სუბიექტური ინტერესების დამკვიდრების მცდელობა.** გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს, განსაკუთრებით მაღალ დონეზე, სურვილი აქვთ, რომ სისტემაში საკუთარი ხელნერა დატოვონ.
- ▶ **პოლიტიკური გადაწყვეტილებები.** განათლება და განსაკუთრებით ზოგადი განათლება მუდმივად საზოგადოებრივი განსჯის საგანია. იმის გამო, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს რაღაც კუთხით შეხება აქვს ზოგად განათლებასთან, ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები პოლიტიკურად ძალიან საფრთხილოა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა გადაწყვეტილებებზე პოლიტიკური ზეგავლენა მასწავლებლებთან დაკავშირებული რეფორმების შემთხვევაში. პოლიტიკური გადაწყვეტილება შეიძლება სისტემის განვითარებაზეც იყოს ორიენტირებული, მაგრამ პრობლემაა, როცა გადაწყვეტილება პარტიულ ან სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებს ემსახურება.
- ▶ **უკუკავშირი სასკოლო საზოგადოებიდან.** თუ მიმდინარე რეფორმებმა სასკოლო საზოგადოებაში მზარდი უკმაყოფილება გამოიწვია, ამ შემთხვევაში, შეიძლება დაწყებული რეფორმა შეჩერდეს, ან შეიცვალოს მიმართულება. ზოგადად, საზოგადოების არასაკმარისი ჩართულობა სარეფორმო პროცესებში იწვევს უკუკავშირის ხარვეზებს. როდესაც დაგეგმვის და განხორციელების დროს ნაკლებადაა გათვალისწინებული საზოგადოების ინტერესები და არ არის სათანადოდ განმარტებული ზოგიერთი მტკივნეული რეფორმის არსი და მიზნები, შემდგომ რეფორმის ავტორებს უწევთ საზოგადოების რეაქციებზე რადიკალური რეაგირება.

თანამშრომლობა უწყებებს შორის

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ამ ნაშრომში, ეროვნულ დონეზე სხვადასხვა უწყებას შორის თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია კომპლექსური რეფორმების წარმატებით განხორციელება. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილეები და ინტერვიუების რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ უწყებებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობას, როგორც სისტემის სერიოზულ პრობლემას. დიდი ხანია, აღარ ტარდება სამინისტროს მიერ კოორდინირებული რეგულარული შეხვედრები სხვადასხვა უწყებებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის. ბევრის აღქმით, სხვადასხვა უწყებები ერთმანეთს უბრალოდ არ ესაუბრებიან.

“ 16 წელია დიხექტოხი ვაჩ და მხოლოდ ეხთი შეხვედრა მახსოვს, სადაც ყველა სსიპ-ის დიხექტოხი ეხთად იჯდა

ინტერვიუ სკოლის დირექტორთან

გადაწყვეტილებების მიღების და რეფორმების განხორციელების პროცესში უწყებათა შორის თანამშრომლობის მოდელები განსხვავდება.

- ▶ **პირად ურთიერთობებზე ანყობილი თანამშრომლობა.** ასეთი თანამშრომლობა, კონკრეტულ შემთხვევებში, ძალიან წარმატებული შეიძლება იყოს. თუმცა პრობლემას წარმოადგენს მისი არასტაბილურობა.
- ▶ **წესებით განპირობებული თანამშრომლობა.** როცა რეფორმის განხორციელებაში ფორმალურად არის სხვადასხვა უწყება ჩართული და მათ უწევთ თანამშრომლობა. მაგალითად, შეფასებისა და გამოცდების ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლობა სქემის დანერგვაში.
- ▶ **ფორმალური თანამშრომლობა.** თანამშრომლობის ეს ფორმა ძალიან ხშირად გვხვდება უფრო ინტენსიური (სამუშაო ჯგუფები) ან ნაკლებად ინტენსიური (ინფორმაციის გაზიარება და უკუკავშირის მოთხოვნა) ფორმით. ხშირ შემთხვევაში, ასეთი თანამშრომლობის ნაყოფიერება უმნიშვნელო ჩასწორებებით შემოიფარგლება.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში ზოგადი განათლების რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის შესახებ ჩატარებული კვლევის დროს გამოვლენილ მიგნებებზე დაყრდნობით, მთელი რიგი დასკვნების საფუძველზე, შეგვიძლია გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს და უწყებებს შევთავაზოთ რეკომენდაციები, რომლებიც შესაძლოა, მომავალში რეფორმების შედეგიანად განსახორციელებლად სასარგებლო იყოს. ზოგადად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმები არ არის გაერთიანებული ერთი სტრატეგიული მიზნის ქვეშ. მათი განხორციელების გზები და სტრატეგიები ნაკლებ თანხვედრაშია და მათ შორის კოორდინაციის და ჰარმონიზაციის ხარისხი ძალზე დაბალია.

1. ხელსაყრელი პირობების შექმნა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები შეეხება მხოლოდ აქ განხილული კონკრეტული რეფორმების და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვის, მართვისა და შეფასების პროცესს. შესაბამისად, დასკვნები და რეკომენდაციები ნაკლებად ეხება რეფორმების შინაარსს. ამასთანავე, უნდა ვაღიაროთ, რომ თუნდაც კარგი რეფორმების სათანადოდ დაგეგმვასა და განხორციელებას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სისტემაში არსებობს სათანადო ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. თუკი არ არსებობს მინიმალური პირობები მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისა და სასკოლო თემისათვის ღირსეული სასწავლო პროცესისა და სასკოლო ცხოვრების უზრუნველსაყოფად, ნებისმიერი რეფორმის ეფექტურობა და მნიშვნელობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

2. ზოგადი განათლების საერთო პრინციპები. ამჟამად ზოგად განათლებაში მიმდინარე რეფორმებს საფუძვლად არ უდევს საერთო პრინციპები. შედეგად, სარეფორმო მიმართულებებს შესაძლოა ერთმანეთისგან განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები ჰქონდეთ. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, მართალია, ადგენს, თუ რა ტიპის მოქალაქე უნდა აღზარდოს განათლების სისტემამ, მაგრამ არ აკონკრეტებს, თუ რა პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს სისტემა. **ასეთი პრინციპების შემუშავება საერთო კონსენსუსით უნდა მოხდეს და ამ პრინციპებს შეიძლება წარმოადგენდეს: სკოლების ავტონომიურობა, მართვასა და დაფინანსებაში დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება, სკოლაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარება და ა.შ. ასევე საჭიროა პროცედურული პრინციპების შემუშავება. ასეთი პროცედურული პრინციპის გათვალისწინებით ეროვნული მასშტაბით რეფორმების დანერგვა არ უნდა მოხდეს პროექტის სათანადო პილოტირებისა და ამ პილოტირების შედეგების შეფასების გარეშე.**

ეს საერთო პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად ნებისმიერ გრძელ თუ საშუალოვადიან სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას.

პრინციპების შემუშავების პროცესში ასევე აუცილებელია შეზღუდვების აღიარება და გათვალისწინება. ზოგიერთი პრინციპი, შესაძლოა, არსებული შეზღუდვების პირობებში რთული დასაცავი იყოს. მაგალითად, ნებისმიერი პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ ადამიანური რესურსების ნაკლებობა. ასევე მნიშვნელოვანი შეზღუდვა შეიძლება იყოს სკოლების რადიკალურად განსხვავებული შესაძლებლობები.

3. პროგრამული მიდგომა რეფორმების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ დაგეგმილი ინიციატივები უნდა ეფუძნებოდეს პროექტული მართვის მიდგომებს და მიჰყვებოდეს პროექტის მართვის სტანდარტულ ციკლს. ამჟამად არ ხდება იმ პრობლემების სათანადოდ გაანალიზება, რომელთა პასუხადაც იგეგმება ეს ინიციატივები. შესაბამისად, დაგეგმვის პროცესშიც ხარვეზებია: ხშირად, დაგეგმვის პროცესში არ არიან ჩართული დაინტერესებული მხარეები, რომლებზეც ეს ინიციატივები რეალურად გავლენას მოახდენს. პროექტის მართვის ციკლიდან (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გაუმჯობესება) ყველაზე პრობლემურია შეფასებისა და გაუმჯობესების კომპონენტების არარსებობა. აუცილებელია, სარეფორმო ინიციატივების განხორციელებას თან ახლდეს ძლიერი მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება მიღწევის ინდიკატორები, რეგულარულად შეგროვდება მონაცემები ინფორმაციის ამ ინდიკატორების შესაფასებლად. ასევე აუცილებელია პროგრამების შედეგების შეფასება როგორც ხარისხობრივად, ისე მათი ხარჯთეფექტურობის კუთხით. ძალიან მნიშვნელოვანია, შეფასების მცდელობები იყოს არა სახელდახელოდ დაგეგმილი განხორციელების პროცესში, ან მის შემდეგ, არამედ ორგანულად იყოს შერწყმული დაგეგმვაში. შედეგების შეფასების შემდეგ კი შესაბამისად გაუმჯობესდეს, შეიცვალოს ან განვითარდეს პროგრამები.

4. სარეფორმო მიმართულებების გაერთიანება საერთო ქოლგის ქვეშ. ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, მიმდინარე რეფორმები შინაარსობრივად და კონცეპტუალურად ძალიან გადაჯაჭვულია. მიუხედავად ამისა, არ არსებობს ქმედითი მექანიზმი, რომლის ქვეშაც ეს სარეფორმო მიმდინარეობები გაერთიანდებოდა. **რეფორმების თანმიმდევრულობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ამ სარეფორმო მიმართულებების რაღაც ფორმით ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანება...** ეს შესაძლოა იყოს, სამინისტროს ფარგლებში, პროექტის მართვის სტრუქტურის შექმნა, ან ცალკე, სამინისტროს გარეთ, ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბება. თუმცა, რაც მთავარია, ეს უნდა იყოს ქმედითი მექანიზმი და არა ფორმალური რეფორმების კოორდინაციის ჯგუფი, სამუშაო ჯგუფი და ა.შ., რომელთა მსგავსი წლების განმავლობაში ხშირად შექმნილა, მაგრამ თვალსაჩინო შედეგი არ გამოუღია.

5. სამინისტროს ფუნქციების შეცვლა და სტრუქტურის კონფიგურაცია. ამასთან არის დაკავშირებული მომდევნო საკითხიც: ამჟამად სამინისტრო ეფექტურად არ ასრულებს მაკოორდინირებელ ფუნქციას არც რეფორმების განხორციელების პროცესში და არც დონორების საქმიანობაში. სსიპ-ებს აქვთ საკუთარი დღის წესრიგი და მათი თანამშრომლობა დამოკიდებულია პირად ურთიერთობებსა და ინტერესებზე. **ამ პირობებში მიზანშეწონილია სამინისტროს ფუნქციის შეცვლა და მისი მაკოორდინირებელი როლის გაძლიერება.** გარდა ამისა, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ესგ-ის სამმართველოს თვით სამინისტროს სტრუქტურიდან გარეთ გატანა.

6. ზოგადი განათლების სფეროში საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების გაძლიერება. რეფორმების კურსის ხშირი ცვლილება, განსაკუთრებით შედეგების შეფასების გარეშე, გადაწყვეტილებების მიღების დახურული პროცესი, გამჭვირვალობის ნაკლებობა დიდი პრობლემაა, რომელიც ხელს უშლის ეფექტური რეფორმების განხორციელებას. საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების გაძლიერება შესაძლოა ერთ-ერთი გზა იყოს ამ პრობლემების გადაჭრის გზაზე. კერძოდ, შესაძლებელია წარდგინებითი (და არა სამინისტროს მიერ დანიშნული) საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ რეფორმების განხორციელების პროცესს. ეს საბჭო იქნება გარკვეულწილად იმ პრინციპების მცველი, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ და შეაფასებს რეფორმების და პროექტების თავსებადობას.

7. დიალოგისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება. როგორც ამ ანგარიშში მრავალჯერ აღინიშნა, თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებებს შორის ამჟამად ფრაგმენტულია და ხშირად პირად კეთილგანწყობებზეა დამოკიდებული. ძალიან მნიშვნელოვანია, სამინისტროს ძალისხმევით ამუშავდეს კოორდინაციის რეგულარული მექანიზმები. მეორე მხრივ, ასევე სამინისტროს ძალისხმევით, უნდა ამუშავდეს/გაძლიერდეს თანამშრომლობის მექანიზმები სკოლებთან რესურს-ცენტრების მეშვეობით. ამას ებმის რესურს-ცენტრების მუშაობის გადააზრება და ახალი კონცეფციის შემუშავება და დამტკიცება.

8. უნივერსიტეტების როლის გაძლიერება. ამჟამად უნივერსიტეტები არ მონაწილეობენ განათლების სისტემაში არსებული პრობლემების ანალიზის, რეფორმების დაგეგმვისა და შეფასების პროცესში. პროექტული მიდგომის ზემოთ აღწერილი პრინციპების გათვალისწინება, განსაკუთრებით კი შედეგების მონიტორინგისა და შეფასების, შესაძლებელია უნივერსიტეტების აქტიური ჩართულობით. კონკრეტულად, შესაძლოა შეიქმნას სადოქტორო საფეხურისთვის საგანმანათლებლო პროცესების შესაფასებლად დაფინანსების ცალკე მიმართულება რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფარგლებში, ან მის გარეთ. სახელმწიფოს შეუძლია, აიღოს ვალდებულება, უნივერსიტეტი მოიაზროს კვლევით პარტნიორად და მას ანდოს სახელმწიფო რეფორმების შეფასება.

დანართი 1

კვლევის ფარგლებში რეკომენდაციების შემუშავების თანაშემწის ჯგუფის წევრები

1. რევაზ აფხაზავა - განათლების კოალიციის პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი
2. ნათია ანდლულაძე - განათლების მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
3. თამარ ბრეგვაძე - განათლების მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
4. გიორგი მაჩაბელი - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი
5. გიორგი მელიქაძე - განათლების მკვლევარი
6. გიორგი ქანტურია - განათლების კოალიციის დირექტორი
7. ნინო რევიშვილი - განათლების სპეციალისტი
8. მერი ქადაგიძე - განათლების სპეციალისტი, სკოლა-ლაბის(CTC) პროგრამა
9. ირინა ხანთაძე - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის(CTC) აღმასრულებელი დირექტორი
10. სიმონ ჯანაშია - განათლების მკვლევარი

დანართი 2

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სიღრმისეული ინტევიუს რესპონდენტები

1. კახაბერ ერაძე - განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი
2. ბერიკა შუკაკიძე - მასწავლებლების პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
3. სოფიო გორგოძე - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
4. მარიამ ჩიქობავა - განათლების სამინისტრო
5. ია აფთარაშვილი - განათლების სამინისტრო
6. მანანა რატიანი - USAID საბაზისო პროგრამა/დამოუკიდებელი ექსპერტი
7. სიმონ ჯანაშია - განათლების მკვლევარი
8. ნათია ანდლულაძე - განათლების მკვლევარი
9. თამარ ბრეგვაძე - განათლების მკვლევარი
10. თამარ სანიკიძე - პროექტის Innovation Inclusion and Quality“ აღმასრულებელი დირექტორი
11. მაგდა ბარამიძე - განათლების ადმინისტრატორი
12. ლაშა ტყეშელაშვილი - სკოლის დირექტორი

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი
თბილისი, 2023